# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 აგვისტო შაბათი 2012 №195 (13801) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წინ სლოვენიისკენ!

**დღეიდან საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით ევრო 2013-ის მარათონში ჩაებმება**



18 აგვისტო, 19:00
სპორტის სასახლე:

## საქართველო VS რუმინეთი

## დღეს საქართველოში ორი ცენტრია

ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს მასპინძლობს, თბილისში კი კლასიკოა



2



## პრემიერლიგა და პრიმერა იწყება



6

რობინ ვან პერსი მანჩესტერ იუნაიტედში



8

ვილანოვა (მარცხნივ) ბარსაში დებიუტისთვის ემზადება, ჟოზე - ყველაფრის მოსაგებად



## დავითი საკუთარ თავს მოერია, გოლიათს - ვერა

*ლელოს სტუმარია დავით მოძმანაშვილი*

11

ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. II ტურის წინათქმა

18.08. თბილისი. დინამო არენა. 19:00
**დინამო-ტორპედო**
Bwin: 1.70 3.40 6.00

18.08. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 19:00
**ზესტაფონი-მეტალურგი**
Bwin: 1.50 3.60 6.00

18.08. თბილისი. მ. მესხი. 18:00
**დილა-ჩიხურა**
Bwin: - - -

18.08. მარტვილი. ცენტრალური. 17:00
**მერანი-ვიტ ჯორჯია**
Bwin: 2.45 2.95 2.75

18.08. ბოლნისი. თ. სტეფანია. 17:00
**სიონი-კოლხეთი**
Bwin: 1.83 3.10 4.10

18.08. განმუხური. ცენტრალური. 17:00
**ზუგდიდი-ბათუმი**
Bwin: 1.78 3.20 4.20

# ლიხს აქეთ კლასიკო, ლიხს იქით ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი

## ორი ინტრიგა პარალელურ რეჟიმში



ქართული კლასიკო უკვე მეორე ტურში გაიმართება: დღეს დინამო-ტორპედოა

საქართველოს ჩემპიონატი ძალებს იკრებს, მეორე ტური კი ერთბაშად ორ ცენტრალურ მატჩს გვთავაზობს. "დინამო"-"ტორპედო" ქართული ფეხბურთის მთელი ისტორიის განმავლობაში იყო გამორჩეული დაპირისპირება, "ზესტაფონი" და "მეტალურგი" ბოლო წლებია, ჩვენს ჩემპიონატში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან, წინა სეზონში განვითარებულმა მოვლენებმა კი მათ ბრძოლას დამატებითი მუხტი შესძინა.

დღევანდელ შეხვედრებში საინტერესო სხვაც ბევრი მოხდება და თავისი წილი ინტრიგა თითოეულ მატჩს ექნება. ასე რომ, ქართველ გულშემატკივარს ისლა დარჩენია, სასურველი თამაში შეარჩიოს და თვალი ადევნოს, ვინ როგორი ფორმით შეხვდა ახალ სეზონს.

### ქართული კლასიკო ახალი გმირებით

"ქართული კლასიკო" – ასე უწოდეს "დინამოსა" და "ტორპედოს" საფეხბურთო ბრძოლას და ამ ორი კლუბის ურთიერთშეხვედრები მართლაც ყოველთვის ამართლებდა ამ ალმატებულ სახელწოდებას. იყო დრო, როცა "ტორპედო" ვერ იბრძოდა უმაღლესი მიზნებისთვის, "დინამოს" ჩავარდნებიც გვახსოვს, მაგრამ მათ დაპირისპირებებს ფასი არასდროს დაჰკარგვია. ბუნებრივია, "ქართული კლასიკო" განსაკუთრებით საინტერესო და მძაფრი მაშინ გამოდიოდა, როცა მის ორივე მონაწილეს სერიოზული ამოცანები ამოძრავებდა და თამამად შეგვიძლია, ამჟამინდელი სიტუაცია სწორედ ასე შევაფასოთ – მართალია, გასულ სეზონში ჩემპიონობასთან ახლოს არც "ტორპედო" ყოფილა და "დინამო" საერთოდ ევროტურნირებს მიღმა დარჩა, მაგრამ ბოლოდროინდელი ამბები გვაფიქრებინებს, რომ ორივე მათგანს ახალ სეზონში მეტის მიღწევა შეუძლია. "დინამო" ახალ სეზონს ახალი მწვრთნელითა და საინტერესო ტრანსფერებით ხვდება, "ტორპედოში" კი გაახალგაზრდავების პროცესი გრძელდება.

გასულ სეზონში ოთხი ურთიერთშეხვედრიდან ორი ქუთაისელებმა მოიგეს, ერთი – დედაქალაქელებმა, ერთი კი ფრედ დასრულდა. ყველაზე გადამწყვეტი ჩემპიონატის მიწურულს თბილისში გამართული მატჩი იყო, სადაც მესამე ადგილისა და ევროპის ლიგის საგზურის ბედი წყდებოდა. გამარჯვება და ევროასპარეზზე გასვლა მაშინ "ტორპედომ" შეძლო.

მიმდინარე ჩემპიონატი ორივე გუნდმა გამარჯვებით დაიწყო და თუ დღეს რომელიმე მოიგებს, უმაღლეს ლიგას სათავეშიც ჩაუდგება.

### ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი და წინა სეზონის გამოძახილი

ჩემპიონატის ყოვლად უაზრო სისტემა, დებულებაში გაპარული ლაფსუსები, თანაბარქულიან კონკურენტებს შორის ლიდერად გამოცხადებული "მეტალურგი", რუსთაველთა საჩემპიონო ზეიმი ბოლო ტურში და მეორე დღეს ფედერაციის მიერ ჩემპიონად გამოცხადებული "ზესტაფონი" – ყოველივე ეს გასული სეზონის ფინიშის მოკლე ქრონოლოგია, უფრო ზუსტად კი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელია. ბუნებრივია, ამაში კლუბებს იოტისოდენა დანაშაულიც არ მიუძღვით, მათაც და მათმა გულშემატკივრებიც უდიდესი სტრესი დაუმსახურებლად გადაიტანეს.

ფაქტია, რომ ხელოვნურად დაძაბული წინა ჩემპიონატის შემდეგ, "ზესტაფონისა" და "მეტალურგის" ურთიერთშეხვედრათა ისტორიაში ბევრი რამ შეიცვალა და მათ შორის გასამართი მატჩის მოლოდინიც გაამძაფრა. ისე კი, წინა სეზონში ზესტაფონელებმა რუსთაველებს უშუალო ბრძოლაში შთამბეჭდავად აჯობეს – სათასო მატჩების ჩათვლით, "ზესტაფონი" და "მეტალურგი" ერთმანეთს ექვსჯერ შეხვდნენ და აქედან ფეროელებმა ოთხჯერ გაიმარჯვეს, ორი თამაში კი ფრედ დასრულდა.

ბუნებრივია, ეს სტატისტიკა საქართველოს მოქმედ ჩემპიონს დღევანდელი წარმატების გარანტიას სულაც არ აძლევს. "დინამოსთან" განცდილი სასტარტო მარცხის შემდეგ "მეტალურგს" მდგომარეობის გამოსწორება მართებს და წესით, მასპინძლებს დიდი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს.

"ზესტაფონმა", შეგახსენებთ, ჩემპიონატი მარტვილის "მერანთან" საშინაო გამარჯვებით დაიწყო და ამჯერადაც საკუთარი მოედნის ფაქტორის სათანადოდ გამოყენებასა და ერთპიროვნულად გალიდერებას შეეცდება.

### რეპეტიცია, სადაც შედეგიც საჭიროა

რა თქმა უნდა, მეორე ტურისადმი ინტერესი ორი ცენტრალური მატჩით არ ამოიწურება. ევროსარბიელსა და შინაურ საქმეებზე ერთდროულად კონცენტრირება ძალიან ძნელია, მაგრამ პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" შეხვედრამდე "დილას" მაინც მართებს ეროვნული ჩემპიონატისთვის ყურადღების მიქცევა და ქულათა მარაგის შევსება, წინააღმდეგ შემთხვევაში გორელები, რომლებმაც უმაღლესი ლიგა "ვიტ ჯორჯიასთან" მარცხით დაიწყეს, ლიდერებს უკვე საკმაო სხვაობით ჩამორჩებიან. უმაღლეს ლიგაში ალზევებული "ჩიხურა" რომ მოკრძალებული ამოცანებით არ დაკმაყოფილდება, ეს ფოთში გამარჯვებითაც დაგვანახა და წესით, "დილასაც" დიდი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. ორი ცენტრალური შეხვედრის მსგავსად, არც ამ მატჩის მიმდინარეობა და შედეგი უნდა იყოს უინტერესო.

"ვიტ ჯორჯია" "დილას" დამარცხების შემდეგ მარტვილს ესტუმრება და იქაურ "მერანთან" შეეცდება მონაგარის გაზრდას. "მერანის" მიზანი გამარჯვებაა. მარტვილელებმა ჩემპიონატი ზესტაფონში განცდილი მარცხით დაიწყეს და ახლა საკუთარი ქომაგების გახარებას შეეცდებიან. შეგახსენებთ, წინა სეზონში "მერანი" შინ განსაკუთრებულად ძლიერად თამაშობდა და იქ ბევრი ფავორიტიც გაამწარა.

ბოლნისსა და განმუხურში ის გუნდები ითამაშებენ, რომლებსაც გამარჯვებათა გრაფაში ნული უწერიათ და ბუნებრივია, ამ ხარვეზის გამოსასწორებლად იბრძოლებენ. "ზუგდიდიც", "ბათუმიც", "სიონიცა" და "კოლხეთიც" მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები არიან და საკუთარი ამბიციების დამტკიცება უპირველესად, სწორედ მსგავს მატჩებში მოუწევთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 |
| 2 | ჩიხურა | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 |
| 3 | ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 |
| 4 | დინამო (თბ) | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 |
| 5 | ვიტჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 |
| 6 | დინამო (ბთ) | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 |
| 7 | სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 |
| 8 | მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 9 | ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 10 | დილა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 | 0 |
| 11 | მერანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 |
| 12 | კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |




მეტალურგი-ზესტაფონის შარშანდელი შეხვედრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



# ლადო დვალიშვილი: კონკრეტული არაფერია, პოლონიაში ვრჩები

**გასული სეზონის მეორე ნახევარი ლადო დვალიშვილმა პოლონურ "პოლონიაში" გაატარა, სადაც ებრაული ჰაიფას "მაქაბიდან" გადავიდა. 26 წლის ქართველ თავდამსხმელს ვარშავულ კლუბთან შეწყობა არ გასჭირვებია და პოლონეთის ჩემპიონატში ჩატარებულ 12 მატჩში 3 გოლი გაიტანა.**

**თუმცა სეზონის დასრულებისთანავე "პოლონიაში" ხელმძღვანელობა შეიცვალა და კლუბში ისეთი არასასურველი გარემო შეიქმნა, რომ "პოლონია" ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. კლუბის შეცვლას უწინასწარმეტყველებდნენ დვალიშვილსაც, თუმცა, ჯერჯერობით, ლადო კვლავ "პოლონიას" ფეხბურთელია და არ გამორიცხავს, რომ ახალი სეზონი სწორედ მის შემადგენლობაში დაიწყოს.**

**"ლელოსთან" ინტერვიუში დვალიშვილმა კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს იგი უკრაინული "ზარიას" შემადგენლობაში ვარჯიშობს და მასთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.**

- არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ხმები. "ზარიასთან" კონტაქტიც კი არ მქონია და ამ ინფორმაციას საფუძველი საერთოდ არ აქვს. ახლაც პოლონეთში ვიმყოფები და ახალი სეზონისთვის "პოლონიასთან" ერთად ვემზადები. 20 აგვისტოს პოლონეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი გვაქვს, რომელშიც, ალბათ, მონაწილეობასაც მივიღებ.

**- ამ მომენტისთვის რაიმე კონკრეტული და საინტერესო წინადადება თუ გაქვს?**

- ისეთი არაფერი, რომ კლუბის შეცვლა მიღირდეს. თანაც, "პოლონიაში" ახლა მდგომარეობა დარეგულირდა და ფეხბურთელებს საქმე გასაქცევად ნამდვილად აღარ აქვთ. ჩემზე უფლება კლუბის ყოფილ პრეზიდენტს ეკუთვნის და თუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე საინტერესო შეთავაზება მივიღეთ, ამ საკითხს ერთად განვიხილავთ. თუ არა, "პოლონიაში" დავრჩები. მოკლედ, სანერვიულო ნამდვილად არაფერი მაქვს.

**- როგორც ვიცით, კონტრაქტს ვარშავის "ლეგია" გთავაზობდა...**

- მართალია, მაგრამ კლუბები ჩემს გამოსასყიდ თანხაზე ვერ მორიგდნენ. ჩემი პირადი კონტრაქტის პირობებზე უკვე შეთანხმებულები ვიყავით, მაგრამ "ლეგია" ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს 150 ათას ევროსა და ჩემი შემდგომი ტრანსფერიდან 50 პროცენტს სთავაზობდა, პრეზიდენტმა კი 250 ათასი და 50 პროცენტი მოითხოვა და საქმე ჩაიშალა.

**- "პოლონიამ" პოლონეთის წინა ჩემპიონატში მე-6 ადგილი დაიკავა. შეძლებს ახალ სეზონში შენი გუნდი თუნდაც მსგავსი მიზნისთვის ბრძოლას?**

- შემადგენლობა აშკარად შესუსტებულია, მაგრამ მთავარია, რომ კლუბს დღეისთვის უკვე ნორმალური ფინანსური მდგომარეობა აქვს, უსიამოვნებებიც წარსულს ჩაბარდა და ვფიქრობ, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას მაინც შევძლებთ. ფაქტია, რომ "პოლონია" ამჟამად საჩემპიონო გუნდი არ არის, მაგრამ ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად დარჩება. არც მე დავზარალებულვარ, რადგან ზუსტად იგივე კონტრაქტით ვაგრძელებ თამაშს.

**- დღევანდელი გადასახედიდან, ისრაელიდან პოლონეთში გადასვლა შენი მხრიდან სწორი ნაბიჯი იყო?**

- უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო. "პოლონიას" კარგად მოვერგე და, ვფიქრობ, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი.

**- ბოლო სანაკრებო მატჩმა შენს გარეშე ჩაიარა. თემურ ქეცბაიას ხომ არ უთქვამს, რა გეგმები აქვს შენთან დაკავშირებით?**

- არა, მსგავსი საუბარი არ გვქონია და არც ის ვიცი, მოვხვდები თუ არა ნაკრებში სექტემბრის ოფიციალური მატჩებისთვის.

**- ხანგრძლივ სანაკრებო უგოლო სერიას ფსიქოლოგიურად როგორ უმკლავდები?**

- ყოველივე ეს ჩემთვის ძალიან მძიმე გადასატანია, მაგრამ ვცდილობ, გავუძლო და სანაკრებო წარუმატებლობამ ჩემს საკლუბო კარიერაზე გავლენა არ მოახდინოს. თუ ნაკრებში შანსი კვლავ მომეცემა, ქართველი გულშემატკივრების გახარებას ყოველნაირად შევეცდები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

# კარპატელი მარადონა

**ლევან ყენიასსატრანსფერო პერიპეტიები დამთავრდა, გელზენკირხენის "შალკეს" ყოფილი ფეხბურთელი ლვოვის "კარპატიში" ჩაირიცხა.**

**"უშენოდ მოსაწ(ყენია), ლევან!" როცა ეს ტრანსპარანტი საქართველო – ალბანეთის თამაშის დროს სტადიონზე გამოფინეს, თემურ ქეცბაიამ ყენია შეცვლაზე ათამაშა და აგრძნობინა, რომ ეროვნული ნაკრებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.**



ლევან ყენია მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ზენიტში არ დაიტოვა

ორწლინახევრიანი უქმობის შემდეგ ყენიამ ახალი გუნდი იპოვა და ალბათ უკრაინელ ქომაგს საქმე მოსაწყენად აღარ ექნება – მან კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოაწონოს თავი გულშემატკივარს.

უკრაინამ ქართულ ფეხბურთს დიდი მანძილით გაუსწრო, მაგრამ ყენიას "კარპატიში" გადასვლა ჩვენი ქომაგისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია. ბუნდესლიგა, მერე "ზენიტის" ვარიანტი და ბოლოს "კარპატი" – ეს ამბავი არც ტელესერიალს ჰგავს და არც თრილერს.

უკრაინაში ბევრი ქართველი ფეხბურთელი წასულა და უმეტესობა იქ ჩარჩენილა. **კახა კალაძე** იშვიათი გამონაკლისია, ის კიევის "დინამოში" წავიდა და თანაც საქართველოს ჩემპიონატიდან. კალაძე უკრაინიდან "მილანში" გადავიდა და თუ ყენია რაღაც ამის მსგავსს მოახერხებს, დაამტკიცებს, რომ სულით სპორტსმენია.

ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. **ლუის სეზარ მენოტი** თამაშის დროს რამდენიმე კოლოფ სიგარეტს ეწეოდა. მაშინ მოწევა თავისებური მოდა იყო და მწვრთნელსაც ნებადართული ჰქონდა თამბაქოთი მოეწესრიგებინა ნერვული სისტემა. მენოტი რომანტიკოსი მწვრთნელი იყო, ასეთები კი ეპოქას ვერ ქმნიან. 1978 წლის მერე მენოტი ლეგენდა გახდა, თითქოს სამწვრთნელო სარბიელზე თავისი საქმე მოისტუმრაო. ახლახან კი გერმანულ პრესაში ინტერვიუ გამოქვეყნდა მენოტისთან და ძალიან მომეწონა მისი ფრაზა, - თანამედროვე ფეხბურთში ინფლაცია არისო. ყენიას შემთხვევაშიც ასე მგონია, რომ არა საფეხბურთო ინფლაცია, ის "კარპატიში" ვერ მოხვდებოდა და ალბათ არც ის ნერვიულობა შეხვდებოდა, რაც "ზენიტში" გადაიტანა.

საფეხბურთო ინფლაცია – მენოტი მწვრთნელი აღარ არის, მაგრამ მაინც მაგარია. ასეთებს რაღაცნაირად, შინაგანად ესმით ფეხბურთი.

ისე, კარპატები მთლად ცუდი არ უნდა იყოს, **გეორგ ჰაჯის** ხომ "კარპატელ მარადონას" ეძახდნენ, ოღონდაც ჰაჯიმ ეს ნიკი მართლა დაიმსახურა ყოველგვარი ირონიის გარეშე.

■ ■ ■

მილეთი ახალგაზრდულის თამაშზე არ მოვიდა, არადა, ხორვატიასთან თამაში ცოტა მეტ მაყურებელს ნამდვილად იმსახურებდა. **ალექსანდრე ჩივაძეს** ურიგო გუნდი როდი ჰყავს, თუმცა ხარვეზიც ცოტა არ ჰქონიათ ქართველ 21-წლამდელებს. ინდივიდუალისტები ამ ასაკშიც დეფიციტია. 19-20 წლის ფეხბურთელების თამაშს რომ უყურებ, გინდა მეტი სილაღე და სითამამე დაინახო. ნაკრების მწვრთნელი გუნდს კარგად ან ააწყობს, ან - ვერა, მაგრამ ფეხბურთელს ის ნამდვილად ვერ გამოზრდის. ახალგაზრდული ნაკრები სარკეა იმისა, თუ რა ხდება ჩვენს ასაკობრივ გუნდებში. ტალანტების ცვენა არ არის, თუმცა ერთი-ორი გამორჩეულად ნიჭიერი ნამდვილად გვყავს.

**გიორგი ჭანტურია** მარჯვენა ფლანგიდან ცდილობდა ხორვატთა დაწიოკებას. ბურთი სულ ცაციაზე გადაჰქონდა და შუისკენ მიჰქონდა. ხორვატებმა ეს ყველაფერი კარგად დაინახეს, მაგრამ ჭანტურია მაინც ახერხებდა თამაშის გამწვავებას. ცაცია გარემარბი მარჯვენა ფლანგზე – ასე თამაშობს, მაგალითად, **არიენ რობენი**, ანუ ეს კარგად აპრობირებული ვარიანტია.



გიორგი ჭანტურია ხორვატიასთან მატჩში

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნულ ნაკრებში თამაში რიგით არ უნდა იყოს. თემურ ქეცბაიაზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ყოფილან მწვრთნელები, რომლებიც რიგითობას იცავდნენ – ჯერ ამან უნდა ითამაშოს, ბოლომდე უნდა ამოწუროს თავი, მერე კი მასზე ახალგაზრდას უნდა მიეცეს შანსი.

კითხვა თავისით ჩნდება: რატომ არ შეიძლება, რომ ჭანტურიამ ეროვნული ნაკრების რომელიმე ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშოს?

ჭანტურიათი იტალიური "ჯენოა" რომ დაინტერესდა, ვინძლო "ლელომ" დაწერა ამაზე პირველად, მერე კი ეს თემა იტალიურ მედიაშიც გაჩნდა. ერთ-ერთ აპენინურ საიტზე ამ სათაურით დაიწერა ეს ცნობა: ქართველი მესი "ჯენოას" შემოთავაზებას ადასტურებს. ამავე ცნობაში ვკითხულობთ ჭანტურიას სიტყვებს: ახლა "ვიტესის" მფლობელს, **მერაბ ჟორდანიას** უნდა დაველაპარაკო, რათა გავიგო, როგორი იქნება ჩემი მომავალი".

ქეცბაიას გუნდმა კი ამასობაში ლუქსემბურგს მოუგო. შესარჩევის წინ ამხანაგურ შეხვედრაში რომ გაიმარჯვებ, ეს კარგია. ამაზე ვერ იქნება დამოკიდებული ნაკრების სვე-ბედი, მაგრამ ლუქსემბურგის ძლევასაც თავისი მნიშვნელობა აქვს.

ქართული მედია ლუქსემბურგში ვერ ჩავიდა ამ შეხვედრის გასაშუქებლად, ანუ ერთხელაც განაცხადა, რომ ფეხბურთისთვის საკმაოდ სუსტი პარტნიორია.

ხალხიც არ დადის სტადიონზე და გვინდა თუ არა, გულშემატკივარიც სუსტი პარტნიორი ხდება ქართული ფეხბურთისთვის.

ამ თემებზე რატომღაც ცოტას ფიქრობენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებში.

დღეს კი ერთხელაც იქნება იმის მოლოდინი, რომ მილეთი სტადიონზე წავა საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე დიდი დაპირისპირების სანახავად. დღეს "დინამო"–"ტორპედოა". მაშინაც კი, როცა ამ გუნდების შეხლაზე ბევრი ქომაგი არ მიდის, თამაშს განსაკუთრებული ხიბლი ეფინება. "დინამოში" ბევრი რამ შეიცვალა საამსეზონოდ, "ტორპედოსაც" საკუთარი გეგმაზომიერი პოლიტიკა აქვს. ჯერ არ ვიცით, ეს გუნდები მთავარი კანდიდატები იქნებიან თუ არა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, მაგრამ, ვინც "დინამო"–"ტორპედოზე" წავა, ის ამაზე ნაკლებად ფიქრობს, რადგან ეს სულ სხვა დაპირისპირებაა, რომლის უკან ბევრი მოგონება, ბევრი ძვალთამტვრეველი თამაში ინახება...

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# საბა კვირკველია: ნეფტეხიმიკში გადასვლა ისევ ჩემთვის სჯობდა


საბა კვირკველია

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი საბა კვირკველია რუსეთის პირველი ლიგის კლუბში, ნიჟნეკამსკის "ნეფტეხიმიკში" ყაზანის "რუბინმა" ერთწლიანი იჯარით გაუშვა.**

კვირკველიას თქმით, გადაწყვეტილება მისთვის მისაღები იყო: "ისეთ ასაკში ვარ, თამაში აუცილებლად მჭირდება. სწორედ ამის გათვალისწინებით ჩათვალეს საჭიროდ "ნეფტეხიმიკში" ჩემი განათხოვრება "რუბინის" მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა და ჩემმა მენეჯერმა რევაზ ჩელებაძემ.

"ნეფტეხიმიკი" 6 ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. მეც მათამაშებენ და იმედია, სეზონის შემდეგ პროგრესი დამეტყობა.

პრემიერლიგის დუბლებში თამაშს რუსეთის პირველ ლიგაში გამოცდილების მიღება მირჩევნია, რადგან იქ ბევრი ძლიერი გუნდი და ცნობილი ფეხბურთელია, ფიზიკურად ძლიერები არიან და საკმაოდ კარგი დონეა.

ასე რომ აქ მონდომებული კაცი გაიზრდება. რაც მთავარია, მათამაშებენ და ვგრძნობ, რომ უკეთ ვარ, უფრო თავდაჯერებულიც გავხდი. ჩემს ასაკში სათამაშო პრაქტიკა თუ არ გექნება, სერიოზულ დონეზე ამაღლება გაჭირდება. მე კი ვგრძნობდი, რომ "რუბინის" ძირითადში თამაშის მცირე შანსი მქონდა. ამიტომ სჯობდა წავსულიყავი იქ, სადაც ეს შანსი მომეცემოდა, ფორმას აღვიდგენდი და გავიზრდებოდი".

კვირკველია ახალი თანაგუნდელებითაც კმაყოფილია: "ძალიან კარგად მიმიღეს და თავს კარგად ვგრძნობ. გუნდში არის ყველა ის აუცილებელი პირობა, რომ კარგად მოვემზადო და მოვუმატო. სხვათა შორის, ჩემთვის გუნდია ახალი, მაგრამ არა მოთამაშეები. ძალიან ბევრს ახლოს ვიცნობ, რადგან ნიჟნეკამსკში "რუბინის" დუბლებიდან 12-მდე მოთამაშე გაგვანათხოვრეს და ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ".

20 წლის მცველი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც გველაპარაკა: "ჩემთვის მთავარი ყოველთვის იყო და არის საქართველოს სახელით თამაში და მიხარია, რომ ახალ გუნდში მომზადების კარგი საშუალება მეძლევა. სამწუხაროა, შესარჩევი ციკლის პირველი მატჩები რომ წავაგეთ და შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი გადაგვეწურა. მაგრამ შევეცდებით, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ და ბოლო შეხვედრაში ესტონეთს მოვუგოთ".

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი

# სამტრედია ისევ მადაზე მოდის

**"სამტრედია" ორი სეზონის წინ უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული გუნდიც იყო და იქ ადგილსაც შეინარჩუნებდა, მოულოდნელად ფინანსური წყარო რომ არ გადაეკეტათ.**

თავი ქუდში რომ ჰქონოდა, კლუბს მინიმალური ბიუჯეტის დამტკიცება სჭირდებოდა. ამის მიუხედავად, 44 ათასი ლარი ჩაურიცხეს და ყველაფერი ცხადი გახდა - კლუბს აქვეითებდნენ და ეს საფეხბურთო ქალაქი უმაღლეს ლიგას, ფაქტობრივად, ხელოვნურად ჩამოაშორეს.

ორი წელიწადი კლუბს საკმაოდ უჭირდა, რადგან ამბიციური "სამტრედია" პირველ ლიგაში უპერსპექტივოდ თამაშს ვერ ეგუებოდა. ახლა კი გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ, რომ კლუბი ფეხზე დადგება.

"სამტრედიაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი გვესტუმრა და მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა: უახლოეს დღეებში დაიწყება სტადიონის რეკონსტრუქცია, მოედნის რეაბილიტაცია და დაიგება ბოლო თაობის ხელოვნურსაფრიანი მოედანი. ბუნებრივ მინდორს ძალიან დიდი ხარჯი სჭირდება, რასაც ქუთაისის "ტორპედო" და "ზესტაფონიც" ვერ წვდებიან, ხელოვნური კი ადვილი მოსავლელია და ნაკლებადხარჯიანია. ეს პროექტი 700 ათასი ლარი ჯდება და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს – მოედნის გარდა, განახლდება ტრიბუნები, დამონტაჟდება 2500 ახალი ინდივიდუალური სკამი და ახალი ტაბლო, გვექნება თანამედროვე სათადარიგოთა სკამები.

ადგილობრივი ბიუჯეტით გავაკეთებთ გასახდელებს, საშხაპეებს, მსაჯთა და დელეგატთა ოთახებს. რეაბილიტაციის დასრულებამდე პირველი ლიგის საწყის 6-7 შეხვედრას "სამტრედია" გასვლაზე ჩაატარებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვეთ, თუ შესაძლებელია, ეს მატჩები მეტოქის მოედანზე დაგვინიშნონ. შეგვპირდნენ, გავითვალისწინებთო და ვნახოთ. თუ არადა, მეტოქეებს ქუთაისში მივიღებთ" – გვითხრა "სამტრედიის" პრეზიდენტმა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, **ავთანდილ თადუმაძემ**.

სამტრედიელები ადგილობრივ კადრებზე დაყრდნობას აპირებენ: "ჯერ სამტრედიის ბიუჯეტი გვაფინანსებს და საკადრო პოლიტიკა ადგილობრივებზე გვაქვს აწყობილი. ძვირადღირებულ ფეხბურთელებს ვერ ვწვდებით და მიზნის მიღწევა უცნობი, მაგრამ ნიჭიერი ადგილობრივებითა და სხვა კლუბში დაწუნებული ახალგაზრდებით გვსურს. მერწმუნეთ, მათ შორის ბევრ საინტერესო მოთამაშეს აღმოაჩენთ.

რაც მთავარია, სამტრედიელების დაბრუნებას შევეცადეთ და დავიმატეთ მარტვილის "მერანის" კაპიტანი გიგა ჟვანია და თავდამსხმელი გიგა ბოხუა, ლანჩხუთის "გურიადან" კი - დემურ სამსეიშვილი.

გადავწყვიტეთ, შანსი მივცეთ გუნდის ყოფილ კაპიტან სპარტაკ გოგიას, რომელიც შარშანდელ სკანდალში იყო გახვეული. მას გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია სურს და უნდა ნახოთ, როგორი მონდომებით ვარჯიშობს.

დავაბრუნეთ თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძეც. ჩვენგან ის ქუთაისის "ტორპედოში" გადავიდა, შემდეგ კიდევ რამდენიმე კლუბი შეიცვალა, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა. მგონია, რომ "სამტრედიისთვის" დაბადებული თავდამსხმელია და ჩვენს გარდა ვერსად ითამაშებს. ზაურს თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი მივეცით".

სტადიონის განახლება კარგია, მაგრამ სამტრედიელთა გულშემატკივრები გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე ოცნებობენ. ამჟამინდელი დაფინანსებით "სამტრედია" ამ ამოცანას ვერ გადაჭრის.

"საქმე ამ კუთხითაც კარგად არის. ჩვენ უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ვემზადებით და ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის რეალური იმედიც გვაქვს. მართლა გვექნება თუ არა მილიონიანი ბიუჯეტი? არ დავმალავ, რომ ლადო ვარძელაშვილთან ამაზეც ვილაპარაკეთ და დახმარებას შეგვპირდა, მაგრამ 2013 წლიდან, როდესაც ახალი ბიუჯეტი დამტკიცდება. ახალ წლამდე კი 110 ათას ლარს უნდა დავჯერდეთ" – იმედიანად არის კლუბის პრეზიდენტი.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები ინგლისში


ლაშა დვალი

# რედინგში დვალი ისინჯება

## ჭანტურია არსენალიდან წამოვიდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **ნიკა ჭანტურია,** რომელიც ლონდონის "არსენალის" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობდა, სამშობლოში ბრუნდება.

უკვე ვწერდით, რომ 17 წლის ქართველმა "არსენალის" რეზერვისტებში "ნორვიჩის" დუბლებთან მეორე ტაიმი ითამაშა. შეხვედრას "არსენალის" პირველი გუნდის მთელი სამწვრთნელო შტაბი უყურებდა და ჭანტურიამ დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ინგლისელთა კეთილგანწყობაზე გამოცემა younggunsblog.co.uk წერილი მეტყველებდა, ქართველმა სამწვრთნელო შტაბზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მცველი „არსენალის" კლასიკური ფეხბურთელის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და ლონდონში უკვე მოსწონთ, მაგრამ ყველაფერი ისე არ ყოფილა, ჩვენ რომ გვეიმედებოდა.

"დღეს გვითხრეს, რომ ნიკა ძალიან მოეწონათ, ყველა მწვრთნელმა დადებითი შეფასება მისცა, მაგრამ ჩვენთან კონტრაქტის გაფორმება პირველი გუნდის ფეხბურთელობას ნიშნავს და, ალბათ გესმით, ამისთვის ჯერ მზად არ არისო. ამიტომ დაკვირვებას გააგრძელებენ, სექტემბერში თბილისში გვესტუმრებიან და თამაშებში ადგილზე ვნახავთო. ჩვენ კი გვთხოვეს, რომ შესაფერისი თამაშების განრიგი მივაწოდოთ. მერე ზამთარში შეხედავენ. ნიკა 18-ის გახდება და კონტრაქტზე ამის მერე კიდევ ერთხელ დავილაპარაკოთო. როგორც ჩანს, ახლა მას საფუძვლიანად დააკვირდნენ და ჩათვალეს, რომ პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მუშაობა ჯერ კიდევ სჭირდება" – გვითხრა ფიფას აგენტმა **ბესო აბაშიძემ**, რომელიც "არსენალში" ქართველის ჩაყვანის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

ნიკა თბილისში დაბრუნდება და "ლოკომოტივში" ივარჯიშებს, რომელსაც მისი ტრანსფერი ეკუთვნის. მაგრამ საკითხავია, როდემდე, რადგან ნიკას მიმართ ინტერესს სხვა ევროპული კლუბებიც გამოხატავდნენ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ნიკა ჭანტურიას პარტნიორი და თანაამპლუელი **ლაშა დვალი** პრემიერლიგაში აღზევებულ "რედინგში" იმყოფება.

"ლაშა უკვე ინგლისშია და კლუბთან ერთად ისინჯება. "რედინგის" პასუხი 10 დღეში გვეცოდინება. სწორედ ამ ვარიანტის გამო ვიკავებდით თავს სანკტ-პეტერბურგის "ზენიტისა" და კიევის "დინამოს" შემოთავაზებებზე, რადგან ნიჭიერი ბავშვის ევროპაში გაზრდა უფრო სასურველი გვგონია. და თუ ლაშა ინგლისში არ დარჩა, მაშინ კიევში ან სანკტ-პეტერბურგში ითამაშებს" – გვითხრა ლაშა დვალის ბავშვობის მწვრთნელმა **გუბაზ დოლიძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრავმის შემდეგ

# გიორგი ხიდეშელი გუნდს ერთ თვეში შეუერთდება


გიორგი ხიდეშელი

"ზესტაფონის" ტანმაღალი მცველი **გიორგი ხიდეშელი**, კვირაზე მეტია, რაც კლუბთან ერთად იმყოფება და ინდივიდუალური მომზადების პროგრამით ვარჯიშობს. 24 წლის მცველმა ტრავმა გასულ სეზონში, "დინამოს" წინააღმდეგ მიიღო და მოედნის ნაადრევად დატოვებამ მოუწია.

ხიდეშელი პირველად გასულ წელს დაშავდა: ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიშინიოვში, "დაჩიასთან" მატჩში, რის გამოც 8 თვის განმავლობაში ვერ თამაშობდა. სამწუხაროდ, ტრავმამოშუშებულისთვის, პირველივე შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა და მაისში ტრავმა ისევ გაიმიზეზა.

მეორე ოპერაცია ხიდეშელს ბელგიაში ისევ ცნობილმა ექიმმა **მარტენსმა** გაუკეთა, რის შემდეგაც სარეაბილიტაციო კურსი საქართველოში გაიარა და როგორც გითხარით, კვირაზე მეტია ზესტაფონში ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

როგორც "ლელოს" ფეხბურთელმა უთხრა, ზუსტად ერთ თვეში ის მზად იქნება და გუნდთან ერთად მაქსიმალურად დაიტვირთება.

**მაგდა კლდიაშვილი**

ფუტსალი

# 100-პროცენტიანი იბერია ფინალშია

ლვოვში მიმდინარე ფუტსალის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ჩემპიონმა "იბერია სტარმა" გუშინ საუკეთესო თამაში აჩვენა. ბრაზილიელი **სერჯიო ბენატის** გაწვრთნილები კონკურენტს, პოლონურ "რეკორდს" შეხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ წინა ტურებში საქართველოს ჩემპიონმა ორივე შეხვედრა უკრაინულ კლუბებთან მოიგო: ჯერ "კარდინალი" დაამარცხა (4:1), მერე კი "ლემბერგი" (7:0).

წინა ორივე მატჩი მოიგეს პოლონელებმაც და ლიდერები ერთმანეთს 6-6 ქულით დაუპირისპირდნენ, მაგრამ "იბერია" ბურთების უკეთესი სხვაობით ლიდერობდა და ჯგუფში გამარჯვებისთვის ფრეც ჰყოფნიდა.

მოულოდნელად, ბრძოლა არ შედგა და საქართველოს ჩემპიონმა მეტოქე გაანადგურა: პირველ ტაიმში **რონისა** და **აუგუსტოს** (2) გოლებით "იბერია" 3:0 დაწინაურდა. მეორე ტაიმში აუგუსტომ კიდევ ორი დაამატა და "პოკერი" შეასრულა, თავი **ბეტინიომაც** გამოიჩინა. "რეკორდმა" მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხა მშრალი ანგარიშისგან თავის დაძვრენა და თბილისელებმა 6:1 გაიმარჯვეს.

ჯგუფის მეორე მატჩში "კარდინალმა" "ლემბერგი" 1:0 დაამარცხა და მესამე ადგილი დაიკავა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 3 | 3 | 0 | 0 | 17-2 | 9 |
| 2. რეკორდი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-3 | 6 |
| 3. კარდინალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-10 | 3 |
| 4. ლემბერგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

ტურნირის ფინალი დღეს 18 აგვისტოს გაიმართება: "იბერია" რუსულ გუნდს, ტიუმენის "გაზპრომ-იუგრას" შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ტიუმენელთა მეკარე **ზვიად კუპატაძეა**, ხოლო მთავარი მწვრთნელი **ბესო ზოიძე** გახლავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ჩეზარე პრანდელი

# ევროპა კარგი იყო, მსოფლიო უკეთესი იქნება

## ახალ სეზონში ახალი ტალანტების მოლოდინში

**ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა პირველი შეხვედრა გამართა და ინგლისის უმთავრეს გუნდთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა, 2:1; ამის შესახებ წინა ნომერში გამცნეთ, დღეს კი ჩეზარე პრანდელის ინტერვიუს წარმოგიდგენთ, რომელიც "კალჩო 2000"-ში დაიბეჭდა. "სკუადრა აძურას" თავკაცი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საუბრობს – თუმცა, უმჯობესია საქმეზე გადავიდეთ და ინტერვიუს გავეცნოთ.**

**- როგორ შეაფასებთ ინგლისთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრას?**

- მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც განვაცხადე, რომ მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მართალია, დავმარცხდით და ეს ყოველთვის საწყენია, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ვქმნით და წინ ვიყურებით. მით უმეტეს, თამაში ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩავატარეთ და ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და გადამწყვეტი გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევთ?**

- საუკეთესო შესაძლებლობები არც ერთს არ უჩვენებია, ისე კი, თავი არ დაუზოგავთ და ეს ალბათ ყველაზე მთავარია. მაგალითად, სტეფან ელ შაარავიმ საკმაოდ ბევრი იშრომა და თუ ასე გააგრძელა, აუცილებლად მიეცემა ეროვნულ გუნდში დამკვიდრების საშუალება. იგივე შეიძლება ითქვას მატია დესტროზე, რომლის წაყვანა ევროპის ჩემპიონატზეც მსურდა. უნიჭიერესი ფორვარდია მანოლო გაბიადინი და მჯერა, რომ ძალიან მალე, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იქნება. მოკლედ, ტალანტები ბევრი გვყავს და მათი კარგად გამოყენებაა საჭირო.

**- თქვენი საუბრიდან ისე ჩანს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უმეტესად ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდნობით...**

- ჩემს გუნდებში ყოველთვის დაბალანსებული შემადგენლობა იყო და ასევე იქნება სამომავლოდ. ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა მარიო ბალოტელიც მყავდა წაყვანილი და ვეტერანი ანტონიო დი ნატალეც; სინთეზი ყველაზე კარგი გამოსავალია და ამას ჩემი გამოცდილება მკარნახობს. ასე რომ, ვეტერანებზე უარის თქმას არ ვაპირებთ, როგორც ეს ბევრს ჰგონია. როგორ შეიძლება ანდრეა პირლოზე უარი თქვა, რომელიც კონტინენტის პირველობაზე გუნდის სული და გული იყო.

**- ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფები 4-4-2 ტაქტიკით წარმართეთ და ამხანაგურ პაექრობაშიც ეს სქემა აირჩიეთ; როგორც ჩანს, საბოლოოდ ჩამოყალიბდით...**

- საბოლოოდ მხოლოდ იმაში ვარ ჩამოყალიბებული, რომ სასტარტო შემადგენლობაში თერთმეტი ფეხბურთელი უნდა დავაყენო, დანარჩენი შეიძლება შეიცვალოს. დღეს, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი 4-4-2-ია, მაგრამ რა იქნება ხვალ, ეს ერთმა ღმერთმა იცის. მე იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც ნებისმიერ ფეხბურთელს თავის ტაქტიკას არგებენ... პირიქით, სქემას იმის მიხედვით ვირჩევ, თუ რა კონტინგენტია ჩემს განკარგულებაში. ასე რომ, საბოლოოდ ჩამოყალიბება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ყველაზე მეტად ვის უფრთხით?**

- ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაა. ჯგუფი საკმაოდ ძლიერია და მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება, მაგრამ განწყობა ოპტიმისტური მაქვს. ძლიერი კონკურენტები გვყავს და ესეც აუცილებლად უნდა აღვნიშნო; ჯგუფიდან გასვლისთვის დანია, ჩეხეთი და ბულგარეთი იბრძოლებენ, რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად. სომხებსაც საინტერესო გუნდი ჰყავთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს.



ჩეზარე პრანდელი

**- ცივი გონებით როგორ შეაფასებთ ევროპის ჩემპიონატს და რას ელით მუნდიალისგან?**

- ევროპის ვიცე-ჩემპიონები ვართ და ეს არცთუ ურიგო შედეგია. მართალია, ჩვენ ჩემპიონობა გვსურდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა პრობლემების წინაშე ვიდექით ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე და ტურნირის მსვლელობისას... ბევრმა ჩამოგვწერა, ფავორიტებად კი ესპანეთთან ერთად, ჰოლანდიას, საფრანგეთს და გერმანიას ასახელებდნენ. საბედნიეროდ, ყველას დავანახვეთ, რომ დიდი მიზნების მიღწევა შეგვიძლია. რაც შეეხება მუნდიალს, იქ ჯერ კიდევ მოსახვედრები ვართ და დღეს, სწორედ ამაზე ვარ კონცენტრირებული. მოკლედ ასე გეტყვით, ევროპა კარგი იყო, მსოფლიო უკეთესი იქნება.

**- რა მოხდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ასეთ ანგარიშს არავინ ელოდა...**

- კიდევ 100-ჯერ რომ ვეთამაშოთ ესპანეთის ნაკრებს, ასეთი ანგარიშით ალბათ ალარასოდეს წავაგებთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში იღბალმა ზურგი გვაქცია. იძულებითი ცვლილებების განხორციელება მომიხდა, ბოლოს კი სულაც ათი ფეხბურთელით დავრჩით. მწარე მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ესპანეთი მსოფლიოს საუკეთესო გუნდია, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენთვის ასეთი ანგარიშით მოეგო; ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**- გავცდეთ სანაკრებო თემატიკას და საკლუბოზე გადავიდეთ; რა შეფასებას მისცემთ "ნაპოლის" მიერ იტალიის სუპერთასის დაჯილდოების ცერემონიის ბოიკოტირებას?**

- "ნაპოლის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ნამდვილად ჰქონდათ მსაჯებზე გაბრაზების საფუძველი, მაგრამ ეს გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ არსებულ რეალობას ყოველთვის თვალებში უნდა ჩახედო და მარცხს ღირსეულად შეხვდე. ნეაპოლელები წაგებას ვერ შეეგუენ და პირველ რიგში, ეს მათი სისუსტის გამოვლინებაა. როდესაც "ნაპოლიმ" იტალიის თასი მოიგო, "იუვენტუსმა" საკუთარ თავსაც სცა პატივი და მეტოქესაც; ასე რომ, ნეაპოლელთა საქციელს ვერაფრით გავამართლებ.

**- სერია A-ს სტარტი კარს მოგვადგა, რას ელით ამ სეზონისგან?**

- ახალი, ნიჭიერი ფეხბურთელების გამოჩენას, რომლებიც შემდეგ ეროვნულ ნაკრებს გამოადგებიან. გარდა ამისა, დაძაბულ პაექრობებს და ბოლო ტურებამდე მიტანილ ინტრიგას. ჩემი პირადი აზრით, სკუდეტოსთვის "მილანი", "ინტერი" და "იუვენტუსი" იბრძოლებენ, ანუ დიდი იტალიური ტრიო. შესაძლოა, იმავე "ნაპოლის", ან "რომას" გულშემატკივრები გამინაწყენდნენ, მაგრამ დღეს, სწორედ ამ სამ გუნდზე ჩამოვდივარ ფსონს. თუმცა, ეს მხოლოდ პროგნოზია და რა იქნება სინამდვილეში, ერთმა ღმერთმა იცის.

ტალანტი



მატია დე შილიო სანაკრებო შეკრებაზე

# დე შილიო პრანდელიმ გააოცა

19 წლის **მატია დე შილიოსთვის** სეზონი ძალიან კარგად იწყება – ჯერ იყო და, **მასიმილიანო ალეგრიმ** სრულფასოვნად გადაიყვანა "მილანის" მთავარ გუნდში, ძალიან მალე კი **ჩეზარე პრანდელის** ყურადღება მიიპყრო და ეროვნულ ნაკრებში მიიღო მიწვევა.

მართალია, ინგლისი-იტალიის პაექრობაში მოედანზე არ გასულა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე იჯდა და როგორც ასეთ დროს ამბობენ, სანაკრებო ატმოსფეროს გაეცნო... მატია "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და შთაბეჭდილებები გაუზიარა:

*"ეს იყო დაუვიწყარი დღეები, რომლებმაც უდიდესი გამოცდილება შემძინა. ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და თავადაც ხვდებით, რა ემოციებში ვიყავი. თავიდან თითქოს ვღელავდი, მაგრამ შემდეგ დავწყნარდი და თავიდან ბოლომდე თამაშზე გადავერთე. ჩეზარე პრანდელიმ გამაოცა, რადგან ამხანაგური შეხვედრის წინაც შეგირდებს ბოლომდე დახარჯვისკენ მოუწოდებდა – ერთი წუთითაც არ მიგრძნია, რომ შედეგი მეორეხარისხოვანი იყო და მხოლოდ რაიმე ტაქტიკას, ან სტრატეგიას ვამუშავებდით. დიდი იმედი მაქვს, რომ ეროვნულ ნაკრებში ადგილს დავიმკვიდრებ და პრანდელისთან მუშაობა წლების განმავლობაში მომიწევს".*

სავარაუდო ტრანსფერი

# ბოჟინოვი იტალიას ვერ ელევა

"კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან **ვალერი ბოჟინოვი** "ტორინოს" ღირსებას დაიცავს. იტალიური ფეხბურთისთვის კარგად ნაცნობი ბულგარელი ფორვარდი ამჟამად ლისაბონის "სპორტინგის" საკუთრებაა, თუმცა პორტუგალიაში დარჩენას არ აპირებს და გული ისევ აპენინებისკენ მიუწევს. შესაბამისად, "ტორინოს" ინტერესი მისთვის დიდი საჩუქარი გამოდგა – მოუსმინეთ ვალერის და ამაში თქვენც დარწმუნდებით:



ვალერი ბოჟინოვი

*"ყველაზე უკეთ თავს მაინც იტალიაში ვგრძნობ და დიდი სურვილი მაქვს, რომ კარიერა სერია A-ში გავაგრძელო. "ტორინოს" ჩემი იჯარით აყვანა სურს და როგორც ვიცი, მოლაპარაკების პროცესი დასკვნით ფაზაშია შესული; შეთანხმებამდე ბევრი აღარაფერი დარჩა და ეს ძალიან მახარებს. "გრანატა" ამბიციური გუნდია, დიდი მიზნებით და ბედნიერი ვიქნები, თუ ერთი წლის თავზე კლუბთან ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებას გავაფორმებ".*

აქვე ვთქვათ, რომ ვალერი ბოჟინოვი 26 წლისაა და უკვე არაერთ იტალიურ გუნდში უთამაშია – მისი პირველი აპენინური გუნდი "ლეჩე" იყო, სადაც გასულ სეზონშიც ასპარეზობდა; გარდა ამისა, "პარმას", "ფიორენტინას' და "იუვენტუსის" ღირსებას იცავდა. იყო პერიოდი, როდესაც ბულგარელს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გაცემული ავანსები ბოლომდე ვერ გაამართლა".

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. I ტურის წინ

# ყველაზე დიდი სანახაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობინ ვან პერსი მე-20 ნომრით ითამაშებს

### დღეს:

**არსენალი-სანდერლენდი 18:00**

**ტრავმები:** ფრიმპონგი, უილშირი, უოლკოტი, კოშელნი, არტეტა, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, როსიცკი, სანია – ბრაუნი, სესინიონი, ბერდსლი, ვონი

მაშ ასე, "ემირატსზე" **რობინ ვან პერსის** გარეშე ცხოვრება იწყება. "მეთოფეებისთვის" ლიდერებთან გამოთხოვება უცხო ხილი სულაც არ არის. გეხსომებათ, რომ შარშანაც ასე იყო: ზედ პრემიერლიგის დაწყებამდე გუნდმა **სამირ ნასრი** და **სესკ ფაბრეგასი** დაკარგა, რასაც კოშმარული სტარტი მოჰყვა. რამდენად ძლიერად იმოქმედებს ჰოლანდიელი კაპიტნის წასვლა ამჯერად, ამას "შავ კატებთან" შეხვედრაში გაეცემა პასუხი. ჩრდილოლონდონელებს კიდევ ერთი "უწყვეტი ტრადიცია" აქვთ - ტრავმირებულთა რაოდენობა არა და არ იკლებს. ზემოთ ვის გვარებსაც ხედავთ, მათგან ზოგი ნამდვილად ვერ ითამაშებს, მავანთა მდგომარეობა კი მხოლოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

რაც შეეხება "სანდერლენდს", **მარტინ ონილის** გუნდმა **ნიკლას ბენდტნერის** ღირსეული შემცვლელი ვერ მონახა. გუნდს თავდასხმაში ალბათ პრობლემები ექნება, თუკი სასწაული არ მოხდა და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დარჩენილ 13 დღეში ვინმე არ შეიძინა.

**ფულჰემი-ნორვიჩი 18:00**

**ტრავმები:** დევისი, ჰიუზი, უაიტაკერი – უორდი, ჰულაჰანი

"ქრეივენ კოტეჯზე" ერთმანეთს პრემიერლიგის ორი საშუალო გაქანების კლუბი ხვდება. **მარტინ იოლის** გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა. განსაკუთრებით ეს თავდასხმის ხაზს ეხება. ლონდონელებმა **პაველ პოგრებნიაკი** და **ენდი ჯონსონი** გაუშვეს, თავის რიგებში კი **მლადენ პეტრიჩი** და **უგო როდალიეგა** მიიღეს. ჩვენი აზრით, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ამ გარიგებებით ნამდვილად მოიგო. "ნორვიჩს" კი ახალი სეზონის დაწყებამდე რაიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი არ განუხორციელებია და ამდენად მასზე ყურადღებას ალარ გავამახვილებთ.

**ქუინზ პარკ-სუონსი 18:00**

**ტრავმები:** მაკი – არავინ

წინა სეზონში "ქუინზ პარკი" ჩემპიონშიპში დაქვეითებას აცრილი გოჭივით გადაურჩა. **მარკ ჰიუზმა** მიზნის მიღწევის შემდეგ ბონუსად 1 მილიონი ფუნტი მიიღო. ამბიციურ უელსელ სპეციალისტს ნამდვილად არ ენდომება, ფინიშის სწორს ძველებურად ინერვიულოს და ამიტომ საქმეს თავიდანვე სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი. ამისთვის მან უკვე იზრუნა და გუნდი ბალასტისგან გაათავისუფლა. სამაგიეროდ მოიყვანა კარგი მეკარე (**რობერტ გრინი**), მცველები (**ფაბიო, რაიან ნელსენი**), ნახევარმცველები (**ჯი სუნ პარკი, სამბა დიაკიტე**) და ერთიც თავდამსხმელი (**ენდი ჯონსონი**).

"სუონსიზე" კი რისი თქმა შეიძლება? ნამდვილად არ ვიცით, როდის იქნება "გედების" ბოლო სიმღერა, მაგრამ თუკი გუნდიდან ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების გადინება ასეთი ტემპით გაგრძელდა, ეს დღე შორს აღარ იქნება. მოგეხსენებათ, უელსელებმა ვერ შეინარჩუნეს **გილფი სიგურდსონი** და **ჯო ალენი** - "ლივერპულში" გაუშვეს. გაქცევაზე უჭირავთ თვალი **სკოტ სინკლერსა** და **ნათან დაიერს**. რაც მთავარია, "ლიბერთი სტედიუმზე" აღარ მუშაობს შარშანდელი აღმაფრენის სულის ჩამდგმელი **ბრენდან როჯერსი**.

**რედინგი-სტოკ სიტი 18:00**

**ტრავმები:** კებე, მაკანუფი, კამინგსი – უილსონი, ჯერომი, ჰუთი

იმის გათვალისწინებით, რომ "რედინგს" დიდი ფული უმაგრებს ზურგს, შეიძლება ამ გუნდს მხოლოდ პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლის იარლიყი არ დავკიდოთ. გუნდის პლუსებს ნამდვილად ვერ მივაწერთ იმას, რომ მთავარ მწვრთნელ **ბრაიან მაკდერმოტს** ელიტაში მუშაობის გამოცდილება საერთოდ არ გააჩნია. მართალია "არისტოკრატებმა" რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი გადაიბირეს, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნება ეს მიზნის მისაღწევად, ამის თქმა ძალიან ძნელია.

**ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული 18:00**

**ტრავმები:** რიჯუელი, ტომასი - კოული

"ვესტ ბრომვიჩში" სერიოზული ცვლილებები იყო. უპირველესად ის, რომ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ინგლისის ნაკრებში გადაბარგებული **როი ჰოჯსონის** მაგივრად მთავარ მწვრთნელად "ლივერპულში" **კენი დალგლიშის** ყოფილი ასისტენტი **სტივ კლარკი** დაინიშნა. დადებითი ძვრებია შემადგენლობაშიც – შეტევაში ორი ახალი სახეა, "ჩელსიდან" იჯარით წამოყვანილი 19 წლის ბელგიელი **რომელუ ლუკაკუ** და "ვერდერის" ყოფილი შემტევი **მარკუს როზენბერგი**. "ლივერპულსაც" ახალი წინამძღოლი ჰყავს – "სუონსის" ექსთავკაცი ბრენდან როჯერსი, ვისაც "ენფილდზე" ახლებური წესრიგის დამყარება აქვს განზრახული. ამისთვის მას გარკვეული დრო დასჭირდება და შესაძლოა, პირველ ეტაპზე "წითლებმა" სასურველ შედეგებს ვერც მიაღწიონ. მერსისაიდელთა ბანაკში ცვლილებებია შემადგენლობის მხრივაც.

**ვესტ ჰემი-ასტონ ვილა 18:00**

**ტრავმები:** კოლინსი, კოლისონი, მაკარტინი, ნოლანი – აგბონლაჰორი, ოლბრაიტონი, ჰერდი, დანი, პეტროვი

"ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ გუნდის დაკომპლექტების პროცესი ჯერ არ დაუსრულებიათ. **სემ ელერდაისს** დიდი სურვილი ჰქონდა, თავისთან ეხილა **ენდი კეროლი**, მაგრამ 20 მილიონ ფუნტად შეფასებულ ტრანსფერს ისინი ვერ გაწვდნენ და ახლა სხვა კანდიდატურას ეძებენ, ვისაც **კარლტონ კოულის** გვერდით შეეძლება თამაში. "ასტონ ვილას" ოდინდელი ამბიციებისგან კი აღარაფერი რომ არ არის დარჩენილი, ეს ძველი ამბავია. ბირმინგემელების მიკუთვნება თუნდაც ევროპალიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდებისთვის ძალიან ძნელია, თუმცა "ვილას" ახალი მწვრთნელი ჰყავს და მას ახალ იმედებს უკავშირებს. **პოლ ლამბერტმა** ბევრად უფრო მოკრძალებულ "ნორვიჩში" შეძლო ბრძოლისუნარიანი გუნდის შეკვრა და წესით, რაღაც ამის მსგავსი "ვილა პარკზეც" უნდა გამოუვიდეს.

**ნიუკასლი-ტოტენჰემი 20:30**

**ტრავმები:** ბა, არფა, ამეობი, კოლოჩინი, სისე, ტიოტე – სანტოსი, პარკერი

"ნიუკასლი"-"ტოტენჰემის" შეხვედრას თავისუფლად შეგვიძლია 1-ლი ტურის ცენტრალური დაპირისპირება ვუწოდოთ, ერთმანეთს ხომ 2011/12 სეზონის მე-5 და მე-4 ადგილოსნები ხვდებიან. რასაკვირველია, განსაკუთრებულ ყურადღებას **ანდრე ვილაშ ბოაშის** პერსონა იქცევს, ვისაც "ჩელსიში" არაფერი გამოუვიდა და ახლა სამუშაოდ მეორე ამბიციურ ლონდონურ კლუბს მიაშურა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, პორტუგალიელ მწვრთნელს ეყოლება თუ არა **ლუკა მოდრიჩი**. სიმართლე გითხრათ, იშვიათად გვახსენდება ხორვატის გაწელილ ისტორიაზე უფრო მომაბეზრებელი საქმე. თუკი ის მაინც წავა, ჩვენი აზრით, ეს არ უნდა იყოს აუნაზღაურებელი დანაკლისი "დეზებისთვის", რადგან გუნდს **გილფი სიგურდსონი** ჰყავს. ისლანდიელის შესაძლებლობებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თანაც, ეს ამ წუთას ნამდვილად არ არის ჩვენი თემა. ერთი პრობლემა, რომლის მოგვარებაც გუნდს ნამდვილად მართებს, ეს თავდასხმის ხაზია. **ემანუელ ადებაიორის** მოსვლა ნამდვილად მალამო იქნება ვილაშ ბოაშის გულზე. ამბობენ, ტოგოელის ტრანსფერი მხოლოდ დროის ამბავიაო.

"ნიუკასლზე" რა უნდა ვთქვათ? "კაჭკაჭებს" დიდი გადაადგილებები ნამდვილად არ ჰქონიათ და შესაბამისად, მას ბევრი არაფერი მიმატებია და არც დაჰკლებია. ჩრდილოელები ისევ იბრძოლებენ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის და ალბათ ისევ ევროპის ლიგით მოუწევთ დაკმაყოფილება.

### ხვალ:

**უიგანი-ჩელსი 16:30**

**ტრავმები:** მაკარტური – მარინი, სტარიჯი

**რობერტო მარტინესის** "უიგანმა" შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი ისეთი აღმაფრენით ჩაატარა, რომ მის მიერ განვლილ გზას ალბათ ბევრი მოაწერდა ხელს. ახალგაზრდა ესპანელ მწვრთნელს "ლივერპულში" დანიშვნის უპირველეს კანდიდატურად ასახელებდნენ, მაგრამ ბოლოს მან დარჩენა თავად გადაწყვიტა. ვნახოთ, განაგრძობს თუ არა მისი გუნდი სიურპრიზებს. რაც მთავარია, "უიგანს" ისეთი ფეხბურთელები არ დაუკარგავს, რომელთა შეცვლაც შეუძლებელია.

აი, "ჩელსი" კი ნამდვილად ცალკე თემაა. "ლურჯები" ძალიან გაძლიერდნენ და ეს განსაკუთრებით ნახევარდაცვაზე ითქმის. მოსამზადებელ ეტაპზეც და "მანჩესტერ სიტისთან" "ქომუნითი შილდის" მატჩშიც აქტიურობით გამოირჩეოდა **ფერნანდო ტორესი**. ვნახოთ, რამდენად გასწვდება ესპანელი **დიდიე დროგბას** ტვირთს. მანჩესტერული გრანდების შემდეგ სწორედ "ჩელსი" შეიძლება მივიჩნიოთ ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად.

**მანჩესტერ სიტი-საუთჰემპ. 19:00**

**ტრავმები:** ბალოტელი, რიჩარდსი, ჰარტი, ბერი - კორკი

მოქმედი ჩემპიონი ტიტულის დაცვას პოტენციურ აუტსაიდერთან მატჩით იწყებს. ბუკმეკერები სწორედ "ქალაქელებს" უწინასწარმეტყველებენ პრემიერლიგის მოგებას. ეს ის თემაა, რაზეც დაუსრულებლად შეიძლება კამათი. **რობერტო მანჩინის** იტალიური გამოცდილება ერთია, როცა მან სამშობლოში "ინტერთან" ერთად ჩემპიონობა მიჯრით 3-ჯერ მოიგო (2006, 2007, 2008) და მეორეა პრემიერლიგა, სადაც ამის გაკეთება ბევრად უფრო ძნელია. იტალიელს ეს თავადაც ესმის და იმიტომ იყო, ერთი ვაიუშველებელი რომ ატეხა, ახალი ფეხბურთელები მჭირდებაო. მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე "მსუქანი საფულის" პატრონი კლუბისგან ასეთი პასიურობა მართლა გასაკვირია.

რაც შეეხება "საუთჰემპტონს", საფეხბურთო ექსპერტების უმეტესობა მას საუკეთესო შემთხვევაში ლიგაში დარჩენას უწინასწარმეტყველებს.

### ზეგ:

**ევერტონი-მანჩესტერ იუნ. 23:00**

**ტრავმები:** ფელაინი, გიბსონი – ფლეტჩერი, ჯონსი, ევანსი, სმოლინგი

დაბოლოს, მივადექით შეხვედრას, რომელიც პირველ ტურს ხურავს და სადაც დასუსტებული "ევერტონი" გამგელებულ "იუნაიტედს" დაუხვდება. "ეშმაკების" მოტივაცია ალბათ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ, რადგან სწორედ "ლურჯებთან" ნათამაშებმა ფრემ დააკარგვინა ჩემპიონის ტიტული **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს. სერ ალექსი აცხადებს, რომ თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ევერტონთანვე" შედგება რობინ ვან პერსის დებიუტი.

**ლევან ბიბილაშვილი**



სიტის ჯერჯერობით ერთადერთი ახალწვეული ჯეკ როდველი

მანჩესტერ სითი

# დირექტორი, ტრავმა და მოლოდინი

"მანჩესტერ სითის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბის აღმასრულებელ დირექტორად "ბარსას" მმართველი გუნდის ყოფილი წევრი **ფერნანდო სორიანო** დაინიშნა. აღნიშნულ პოსტზე ბოლოს **გარი კუკი** მუშაობდა, ვისაც კლუბის მესაკუთრეებმა შარშან სექტემბრის პირველ რიცხვებში მიუთითეს კარისკენ. მიზეზი სკანდალური იყო: კუკმა კლუბის ადმინისტრატორის **ბრაიან მერვუდის** ნაცვლად "სითის" ამერიკელი მცველის **ნედუმ ონუოჰას** დედის მკურნალ ექიმს შეცდომით წერილი გადაუგზავნა, სადაც ის ფეხბურთელის სიმსივნით დაავადებულ მშობელს უდიერად მოიხსენიებდა. უკანასკნელი "სანის" რედაქციას დაუკავშირდა და ისტორია დეტალების გარეშე გაანდო, ტაბლოიდმა კი ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოსდო. კლუბის წინაშე კუკის დიდი ამაგის მიუხედავად, პრეზიდენტმა **ხალდუნ ალ-მუბარაქმა** გადაწყვეტილება დაუფიქრებლად მიიღო.



სორიანო ბარსელონის მერე სამუშაოდ ლონდონში წავიდა

რაც შეეხება სორიანოს, მოვალეობების შესრულებას ის 1-ლი სექტემბრიდან შეუდგება. *"მისტერ სორიანოს კანდიდატურა ჩვენთვის უმთავრესი იყო. საფეხბურთო სამყაროში მიღებული გამოცდილებისა და თავისი ავტორიტეტის წყალობით მას ნამდვილად შეუძლია "სითის" წარმატებების გზით ტარება,"* – განაცხადა ალ-მუბარაქმა.

## რიჩარდსის ორი თვე

"დეილი მეილის" ცნობით, "მანჩესტერ სითის" 24 წლის უნივერსალი ცენტრალური მცველი **მიკა რიჩარდსი** მოედანს მინიმუმ 8-10 კვირით ჩამოშორდა. ფეხბურთელმა ფეხის ტრავმა ოლიმპიურ თამაშებზე მიიღო, სადაც ის დიდი ბრიტანეთის ნაკრების ღირსებას იცავდა. **რობერტო მანჩინის** იმედი ჰქონდა, რომ მიკა გუნდს სექტემბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ გადაწყვეტილება, გააკეთონ თუ არა ოპერაცია, ექიმებს ჯერ არ მიუღიათ. საბოლოო პასუხს სპეციალისტები ამ დღეებში დამატებითი პროცედურების გავლის შემდეგ იტყვიან.

## ადამ ჯონსონი შიშობს

**რობერტო მანჩინიმ** 23 წლის განაპირა ნახევარმცველი **ადამ ჯონსონი** "სითიდან" არ გაუშვა. არადა, მისი გადაბირება ამ ზაფხულზე პრემიერლიგურ კლუბებს სურდათ. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკის სიმწირე აშფოთებს: *"მე იმ ტიპის ფეხბურთელი ვარ, რომელსაც რეგულარულად სჭირდება მოედანზე ყოფნა, რათა სათამაშო რიტმი იგრძნოს და ფორმა არ დაკარგოს. იმასაც ვითვალისწინებ, რომ ჩემს გუნდში ყველას სურს მოედანზე ყოფნა. მიჭირს ზედიზედ ხუთი მატჩი სკამზე ჯდომა და მერე მოედანზე იმის ჩვენება, რაც შემიძლია. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვხვდები ინგლისის ნაკრებში".*

ლივერპული



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრენდან როჯერსი და უსამი აისადი

# შემდგარი და ჩაშლილი ტრანსფერები

"ლივერპული" ერედივიზიეს "ჰერენვენს" 24 წლის თავდამსხმელის **უსამი აისადის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. კუნძულელებს გარიგება 2,4 მილიონი ევრო დაუჯდათ. მაროკოელმა სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და მერსისაიდელებთან კონტრაქტზე ხელი მოაწერა. აისადის პრეზენტაციაზე გამართულ პრესკონფერენციაზე **ბრენდან როჯერსმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კლუბი უახლოეს დღეებში კიდევ ორი ტრანსფერის დასრულებას იმედოვნებს. ბრიტანული პრესა წერს, რომ 39 წლის მწვრთნელი 21 წლის **კრისტიან ტელიოსა** (ბარსელონა) და 23 წლის **ნური შაჰინს** (რეალი) გულისხმობს.

აქვე გეტყვით, რომ ჰოლანდიური პრესის ცნობით, "ლივერპულმა" ამ დღეებში უარი მიიღო ბარსელონელი **იბრაჰიმ აფელაის** მიყიდვაზე. როგორც "დე ტელეგრააფი" წერს, "ბლაუგრანას" შეთავაზებული თანხა ეცოტავა. შესაძლოა, "ლივერპულმა" კიდევ ერთი გაუმჯობესებული წინადადება გაამზადოს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის რთული ცხოვრება

გუშინ **რობინ ვან პერსიმ** "იუნაიტედის" ექიმების მეთვალყურეობით სრულყოფილი სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჰოლანდიელი "ეშმაკების" ყველაზე ძვირად ანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. გაირკვა ისიც, რომ "არსენალისთვის" გადასახდელი 24 მილიონი ფუნტიდან რობინს 1,5 მილიონი ბონუსის სახით ეკუთვნის.

## ფერგი ახალ შეგირდზე

**ალექს ფერგიუსონი** გამოტყდა, რომ ვან პერსის ტრანსფერის საკითხში გადამწყვეტი როლი თავად ფეხბურთელის ნებამ ითამაშა, რადგან "სითი" მზად იყო, "არსენალისთვის" უკეთესი პირობები შეეთავაზებინა. აი, რა თქვა შოტლანდიელმა ფეხბურთელის პრეზენტაციის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე:

- ძნელი საქმე იყო, რადგან აშკარა გახლდათ, რომ ვენგერს ვან პერსის ჩვენთვის მოყიდვა არ სურდა. მან ეს თავად დაადასტურა გაზეთებში. მთავარი იყო, რომ ჩვენთან გადმოსვლა თავად ვან პერსიმ მოინდომა. მისმა სურვილმა ბევრი რამ გადაწყვიტა. "იუნაიტედის" ხათრით მან სხვების შეთავაზებებზე უარი თქვა და კლუბისგან ჩვენს წინადადებაზე დათანხმება მოითხოვა. ეს რომ არა, გარიგება ნამდვილად არ შედგებოდა. "არსენალს" უბრალოდ სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. საერთოდ ასეთი კალიბრის ფეხბურთელის ყიდვა ძალიან ძნელია. ჩვენ შარშანაც ვცადეთ ეს, მაგრამ მაშინ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომაზეც კი უარი მივიღეთ. ამის შანსი მხოლოდ მას მერე გაჩნდა, როცა ფეხბურთელმა მოქმედი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ოფიციალური უარი თქვა. მე და დევიდ გილი ამის მერე გლეიზერებს დავუკავშირდით და ჩვენი განზრახვა გავანდეთ. მათგან სრული მხარდაჭერის გარანტია მივიღეთ. კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს კონტრაქტი ხელმოწერილია. ეს ტრანსფერი ფეხბურთელებს დამატებით იმპულსს მისცემს, მაგრამ პირადად მე უფრო მეტი თავის ტკივილი მექნება ძირითადი შემადგენლობის შერჩევისას. ამ ნაბიჯით თავად გავირთულე ცხოვრება. ვან პერსის 2-3 პოზიციაზე ერთნაირად კარგად შეუძლია თამაში, მაგრამ ბოლო წლების გამოცდილება ამტკიცებს, რომ ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილება მისი ცენტრფორვარდად გამოყენებაა. მარტო შარშან მან 37 შეხვედრაში 30 გოლი გაიტანა. მგონი პატარა ბავშვისთვისაც ცხადი უნდა იყოს, რა პოზიციაზე ვაპირებ მის გამოყენებას.



სერ ალექს ფერგიუსონი

## ვან პერსი და ბიზნესი

**რობინ ვან პერსის** ბიზნესთან რასაკვირველია არანაირი შეხება არ აქვს, მაგრამ "ოლდ ტრეფორდზე" მისმა გამოჩენამ ნიუ იორკის ბირჟაზე "იუნაიტედის" აქციათა ფასი 14 დოლარიდან 13,77-მდე გააიაფა. "ფაინენშალ ტაიმსის" ანალიტიკოსმა **საიმონ კუპერმა**ვარდნა შემდეგნაირად ახსნა: *"ეს ნამდვილად არ იყო ბიზნესგარიგება. გუნდმა შეიძინა ტრავმებისკენ მიდრეკილი 29 წლის თავდამსხმელი, მაშინ როცა ამ ამპლუის ფეხბურთელები თავიანთ პიკს 24 წლის ასაკში აღწევენ. გლეიზერები გუნდის ფანებთან ერთგვარ გარიგებაზე წავიდნენ, რომელსაც, უპირველესად, ბიზნესლოგიკა აკლდა".*

## რიო 45 ათასს გადაიხდის

"მანჩესტერ იუნაიტედის" 33 წლის მცველი **რიო ფერდინანდი** "ტვიტერში" დაწერილი კომენტარისთვის 45 ათასი ფუნტით დაჯარიმდა. ფეხბურთელი ერთ-ერთი გულშემატკივრის კომენტარს გამოეხმაურა **ეშლი კოულზე** და "ჩელსის" მცველს choc Ice (პირდაპირი თარგმანით შოკოლადიანი ნაყინი) უწოდა. ჟარგონზე კი მთქმელმა შეიძლება სხვადასხვა რამ იგულისხმოს. მართალია, რიო მერე თავად აცხადებდა, რასისტული არაფერი მიგულისხმიაო, მაგრამ საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა მას არ დაუჯერა და ჯარიმა დააკისრა.

ამბები

## ბარტონი მარსელისაკენ



ჯოუი ბარტონი

"ქუინზ პარკის" ყოფილი კაპიტანი, მარად მოჩხუბარი **ჯოუი ბარტონი** კარიერას "მარსელში" განაგრძობს. მხარეებმა ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმეს. მოგეხსენებათ, პრემიერლიგის 38-ე ტურში "მანჩესტერ სითისთან" დადგმული სპექტაკლებისთვის, რასაც ლამის **კარლოს ტევესისა** და **სერხიო აგუეროს** ჯანმრთელობა შეეწირა, 29 წლის ფეხბურთელს ინგლისში 12-თამაშიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. ბარტონს სეზონის დაწყების შემდეგ **მარკ ჰიუზის** გუნდში არც უვარჯიშია. ის ქვედალიგელ "ფლიტვუდ თაუნს" იყო შეკედლებული. ჯერ გარკვეული არ არის, მაგრამ შესაძლოა "ველოდრომიდან" "ლოფტუს როუდზე" ამოყოს თავი მარსელელმა **სტეფან მბიამ**, ვინც ვერაფრით მოახერხა ამჟამინდელი გუნდის ძირითადში დამკვიდრება.

## ბიშევაცი ლიონში წავიდა

"ლიონს" "პარი სენ-ჟერმენიდან" ერთბაშად ორი მცველის, 28 წლის **მილან ბიშევაცისა** და 22 წლის **მამადუ სახოს** გადაბირება სურდა და თანაც ორივესი იჯარით. დედაქალაქელებმა ფრანგი ვერა და სერბი სამუდამოდ დათმეს. "ლომებს" ტრანსფერი ამ ეტაპზე სულ 2,75 მილიონი ევრო დაუჯდათ. ისინი კიდევ 0,5 მილიონს სერბის წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში გადაიხდიან. ბიშევაცის გაყიდვით "ლურჯ-წითლებმა" ზედმეტი არაევროკავშირელი მოიშორეს. გაზეთები ვარაუდობდნენ, რომ შესაძლო იყო, პარიზში გადასულიყო საფრანგეთის ნაკრების წევრი **ანტონი რევეიერი**, მაგრამ ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა.



მილან ბიშევაცი

## სკოტ სინკლერის უარი გედებს

"სუონსი" პრაქტიკულად დაშლის პირას არის. **გილფი სიგურდსონისა** და **ჯო ალენის** შემდეგ "ლიბერთი სთედიუმის" მკვიდრები **სკოტ სინკლერსაც** კარგავენ. 23 წლის გარემარბმა უელსურ კლუბის პრეზიდენტ **ჰიუ ჯენკინსთან** პირისპირ შეხვედრის დროს მას ახალ კონტრაქტზე უარი უთხრა და რაკი ხელშეკრულება 2012/13 წლების სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება, კლუბი იძულებულია, რომ მოთამაშე ტრანსფერზე დააყენოს. ჯენკინსის შემდეგ მასთან მოლაპარაკება **მიკაელ ლაუდრუპმა** გამართა, მაგრამ მანაც უარი მიიღო. *"სინკლერმა მეც იგივე მითხრა, რაც თავის დროზე პრეზიდენტს. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ამჟამად ის ჩემი ფეხბურთელია, შესაბამისად, ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას მეტად აღარ ვაპირებ. 31 აგვისტომდე ყველაფერი შეიძლება მოხდეს,"* – განუცხადა BBC-ის ლაუდრუპმა. სინკლერით პრემიერლიგის გრანდები "მანჩესტერ სითი", "ლივერპული", "ჩელსი" და "ტოტენჰემი" არიან დაინტერესებულნი.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

გერმანიის ნაკრები

# იოგის წყალი შეუდგა?

## საფეხბურთო გერმანიის დარდები

იოახიმ ლიოვის ფორმაციის გერმანიის ნაკრებმა ქვეყანას და ქომაგებს არაერთი ულამაზესი თამაში და გამარჯვება აჩუქა. იოგიმ ჩამოაყალიბა გუნდი, რომლის წინაშეც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მთელი მსოფლიო ძრწოდა. ლიოვის ბუნდესგუნდმა ზედიზედ 15 ოფიციალური მატჩი მოიგო და დაამყარა მსოფლიო რეკორდი, რომლითაც გერმანელები სამართლიანად ამაყობენ. 52 წლის სპეციალისტი, რომელმაც თავის დროზე იურგენ კლინსმანი შეცვალა, ბუნდესნაკრებს უკვე 6 წელია, ავარჯიშებს და ამ ხნის მანძილზე საფეხბურთო გერმანიაში მის მიმართ მხოლოდ ქებადიდება ისმოდა. ლიოვი ყველას უყვარდა, ყველა აქებდა, ყველა აფასებდა.

რატომ ვსაუბრობთ წარსულში? არა, იოახიმი ჯერ კიდევ ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელია და რამდენადაც ცნობილია, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელები მას ძველებურად ენდობიან, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ 28 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიის ნაკრებთან განცდილმა მარცხმა (1:2) იოგის გარშემო ბევრი რამ შეცვალა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: თავის დროზე, ასევე ყველასათვის საყვარელი კლინსმანის გარშემოც იტალიასთან წაგებამ შეცვალა ბევრი რამ - 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალში გერმანელები იტალიელებთან რომ დამარცხდნენ, სწორედ მას მერე აირია მონასტერი და ფაქტობრივად იმ მატჩს გადაჰყვა კლინსიც. ამაში გასაკვირი არაფერია: გერმანელებს ყველაზე მეტად იტალიელებთან წაგება არ უყვართ.



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი თავის ადგილზე ძველებურად მყარად ველარ დგას

### დაპირისპირება გიგანტებთან

ლიოვი იტალიასთან მარცხს არ გადაჰყოლია, რადგან ამ ექვსი წლის მანძილზე კლინსმანზე მეტი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა, მაგრამ გერმანიაში ალარავინ უარყოფს იმას, რომ ევრო 2012-ის ნახევარფინალში წაგების შემდეგ ლიოვს ექსპერტების დიდი ნაწილი უკვე ალმაცერად უყურებს. სწორედ ამიტომ განრისხდა იოგი ასე ძალიან და ამიტომ შემოელანძლა როგორც ექსპერტები, ისე ის ჟურნალისტებიც, რომლებიც ბოლო დროს მედგრად აკრიტიკებდნენ. ექსპერტებზე რომ ვსაუბრობთ, გერმანული ფეხბურთის ისეთ კორიფეებს ვგულისხმობთ, როგორებიც არიან **გიუნტერ ნეტცერი, ოლივერ კანი, მათიას ზამერი, შტეფან ეფენბერგი, ფრანც ბეკენბაუერი** და ა.შ. ჟურნალისტებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ამ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებაა ლიოვის მხრიდან ერთობ სარისკო ნაბიჯი.

ამას მოჰყვა არგენტინასთან ოთხშაბათს გამართული ტესტ-მატჩი და მორიგი წარუმატებლობა - ბუნდესგუნდი საკუთარი პუბლიკის წინაშე 1:3 დამარცხდა. შესაბამისად, იოგის მიმართ კრიტიკამ იმატა. მეტიც: თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბუნდესმწვრთნელად მუშაობის 6-წლიან პერიოდში ლიოვი ასე და ამდენად არასდროს გაკრიტიკებულა. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ გერმანიაში ლიოვის პირველ კრიზისზე ალაპარაკდნენ. კრიზისი კი, მოგეხსენებათ, გერმანელებს ყველაზე მეტად არ უყვართ - იმიტომ, რომ არ არიან მიჩვეულები.

### აბობოქრებული იოახიმის მიუღებელი მონოლოგი

ექსპერტებისა და ჟურნალისტების შემდეგ იოგის კრიტიკას უკვე ფანებიც მოჰყვნენ - პირველ რიგში იმიტომ, რომ ლიოვმა არაფრით აღიარა შეცდომები და ზემოთ ხსენებულ პრესკონფერენციაზე ჯიუტად იმეორებდა, ჩემ მიერ არჩეული გზა სწორია, ჩემი ყველა გადაწყვეტილება მართებულიაო. გაზეთმა „ფრანკფურტერ რუნდშაუმ“ ბუნდესმწვრთნელის ამ გამოსვლას „მიუღებელი მონოლოგი“ უწოდა, „ალგემაინე ცაითუნგი“ კი „აბობოქრებულ იოახიმზე“ წერდა - ოდნავადაც არ არის თვითკრიტიკულიო.

არგენტინასთან მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ოლივერ კანმა კბილებში გამოსცრა, დროა, ჩვენი მწვრთნელი ბევრ რამეზე დაფიქრდესო და გუნდის თამაშს უსისხლო და ზედმეტად ნაზი უწოდა.

იოახიმის გაკრიტიკების შანსი ხელიდან არც გერმანიის საფეხბურთო კავშირის ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა, ამჟამად კი „ბაიერნის“ მენეჯერმა მათიას ზამერმა გაუშვა, რომელიც ამ თემას რეკორდმაისტერის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოეხმაურა: „არ ვიცი, რა ვუწოდო ჩვენი ნაციონალური ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას. დეფინიციის მოძებნა მიჭირს! შემიძლია ვთქვა, რა დონეზეა ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი ან არგენტინა, გერმანიის ნაკრებზე საუბარი კი მიჭირს,“ - აცხადებს 44 წლის ზამერი, რომელსაც, მართალია, ლიოვი გულზე არასდროს ეხატებოდა, მაგრამ ასეთი ან ამდაგვარი რამ აქამდე არასდროს უთქვამს.

რატომ „აიმღვრა წყალი“ ლიოვის გარშემო? 2006 წლის მუნდიალზე მესამე ადგილის დაკავებით გერმანიაში ყველა ბედნიერი იყო, ევრო 2008-ზე ფინალში წაგებამ ბევრი გააბრაზა, მაგრამ გერმანელები მაინც კმაყოფილები იყვნენ, 2010 წლის მუნდიალზე ბუნდესგუნდმა ბრწყინვალე ფეხბურთი ითამაშა, არგენტინას და ინგლისს „გადაუარა“ და მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა, რის გამოც გერმანელთა კმაყოფილება გაგრძელდა, მაგრამ წელს ალემანები თავიანთი გუნდისგან მხოლოდ ტიტულს, ან მინიმუმ ისევ ფინალში გასვლას, იტალიის ნაკრების დამარცხებას მაინც ელოდებოდნენ. ტრაგედია კი უფრო იმიტომ შეიქმნა, რომ ლიოვმა და მისმა გუნდმა საფეხბურთო გერმანია თითქოს დაავალდებულეს, მაინც კმაყოფილები უნდა იყოთო. სწორედ ეს ვერ აიტანეს კანმა, ზამერმა და სხვებმა. სწორედ ამიტომაა ლიოვის გარშემო სიტუაცია დაძაბული.

7 სექტემბერს ბუნდესგუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ფარერებთან მატჩით იწყებს. გერმანელები, რა თქმა უნდა, მოიგებენ - ალბათ დიდი ანგარიშით და რაც არ უნდა მოხდეს, იოგის გუნდს ამ ციკლის დაძლევა და მუნდიალის საგზურის მოპოვება არ გაუჭირდება. მერე, 2014 წელს გერმანია ალბათ ისევ შეხვდება ესპანეთს ან იტალიას და...

სწორედ ამაზე ფიქრობს ახლა საფეხბურთო გერმანია...

**გოტფრიდ ლენცი**



ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. I ტურის წინ

# დღეს ესპანეთი იწყება!

## ისევ რეალი, ბარსა და მეტი არაფერი?

| დღეს | |
|---|---|
| სელტა-მალაგა | 21:00 |
| სევილია-ხეტაფე | 23:00 |
| მალიორკა-ესპანიოლი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| რეალი-ვალენსია | 21:00 |
| ბილბაო-ბეტისი | 21:00 |
| ბარსელონა-სოსიედადი | 23:00 |
| ლევანტე-ატლეტიკო | 01:00 |
| **ზეგ** | |
| დეპორტივო-ოსასუნა | 21:00 |
| რაიო ვალეკანო-გრანადა | 23:00 |
| სარაგოსა-ვალიადოლიდი | 01:00 |

დღეს ესპანეთის ჩემპიონატი იწყება - პრიმერადივიზიონი 2012/13. შეგვეძლო, ასეც გვეთქვა: დღეს „რეალისა" და „ბარსელონას" მორიგი მარათონული დუელი აიღებს სტარტს. ძალიან გვინდა, რომ ასე არ იყოს, რადგან თუკი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში სხვა კლუბებიც (ან თუნდაც მხოლოდ ერთი) ჩაერთვებიან, ამით „რეალიც" იხეირებს, „ბარსაც", მთლიანად ესპანური ფეხბურთიც და ჩვენ - ფეხბურთის მოყვარულებიც, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პირველობისთვის ამ სეზონშიც მხოლოდ მადრიდელები და კატალონიელები იბრძოლებენ. ამას მხოლოდ წინა და იმისწინა სეზონებიდან მიღებული გამოცდილების გამო როდი ვამბობთ - არის სხვა, უფრო საყურადღებო მიზეზიც: ესპანურ კლუბებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ. მარტო გადასახადების სახით, კლუბებს ჯამში სახელმწიფოს 750-მილიონიანი ვალი აქვთ. ყველა კლუბის ყველა ვალი კი ჯამში 3.5 მილიარდი ევროა...



„ბარსელონას" ახალი მთავარი მწვრთნელი ტიტო ვილანოვა და „რეალის" დამრიგებელი ჟოზე მოურინიო

### ცენტრალური მატჩი მადრიდში

ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ისევ მადრიდელთა პორტუგალიელი თავკაცი **ჟოზე მოურინიოა**, რომელმაც სეზონის წინ მედიას და ფანობას სალაპარაკოდ ახალი თემა მიუგდო - განსაკუთრებულს ნულარ დამიძახებთ, ახლა ერთადერთობა მომწონსო. ერთადერთს და განუმეორებელს კი ჟოზე საკუთარ თავს იმის გამო უწოდებს, რომ ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატების სახით თავის სამწვრთნელო კარიერაში, მისივე აზრით, მსოფლიოში საუკეთესო ლიგები მოიგო.

„რეალი" პირველი ტურის მატჩს ხვალ, ჩვენი დროით 21 საათზე, „ვალენსიასთან" გამართავს. თუკი ესპანეთში რომელიმე კლუბზე ითქმის, „რეალისა" და „ბარსასთვის" სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლიაო, პირველ რიგში „ვალენსიაზე", რის გამოც ეს შეხვედრა აუცილებლად პირველი ტურის ცენტრალურ მატჩად უნდა შევრაცხოთ. „ღამურებმა" წინა სეზონში მესამე ადგილი დაიკავეს, რაც უდავოდ ძალიან კარგი მიღწევაა, რადგან ამის იქით მხოლოდ „ბარსელონა" და „რეალი" იყვნენ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვალენსია" მეორეადგილოსან „ბარსას" 30 ქულით (!) ჩამორჩა, ჩემპიონ „რეალს" კი - 39 (!!!) ქულით.

მადრიდელებს **ლუკა მოდრიჩი** ოფიციალურად ჯერ არ გაუფორმებიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვალენსიასთან" მადრიდელთა გამთამაშებელი კვლავ **მესუთ იოზილი** იქნება. ზოგადად, „რეალმა" სატრანსფერო ბაზარზე მაინცდამაინც არ იაქტიურა და მხოლოდ რამდენიმე უსარგებლო ფეხბურთელი დათმო (**გაგო, ალთინთოფი, კარვახალი, კანალესი**). შესაბამისად, მოურინიოსეულ ძირითად შემადგენლობაში აქამდე არნახულ სიახლეს არ უნდა ველოდოთ. კანალესმა და გაგომ კი სწორედ ვალენსიას მიაშურეს და ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში შეუძლიათ. „ღამურებმა" პარაგვაელი ფორვარდი **ნელსონ ვალდესიც** გადაიბირეს (ყაზანის „რუბინიდან"), თუმცა ეს უკანასკნელი „ვალენსიას" სასტარტო შემადგენლობაში არ მოიაზრება.

### ვილანოვას დებიუტი

„რეალი"-„ვალენსიას" დასრულებისთანავე „ბარსელონას" მატჩი დაიწყება: **ტიტო ვილანოვას** დებიუტი „ნოუ კამპზე" სან სებასტიანის „რეალ სოსიედადთან" შედგება. კატალონიური გრანდი დაცვის მარცხენა ფლანგზე **ხორდი ალბათი** გაძლიერდა, რომელიც „ბარსამ" „ვალენსიადან" 14 მილიონ ევროდ შეიძინა. სხვა მხრივ, ვილანოვა ისევ ძველი ლიდერების იმედადაა - რაც მთავარია, გამოჯანმრთელდა და სრულ მზადყოფნაშია **დავიდ ვილია**, რომელიც წინა სეზონში ტრავმის გამო 8 თვე უქმობდა.

### მოდი, ვნახოთ სელტა...

პირველ ტურს დღეს ელიტაში დაბრუნებული ვიგოს „სელტა" „მალაგასთან" საშინაო მატჩით გახსნის და ეს იქნება პირველი იმ 380 შეხვედრიდან, რომელიც „ლა ლიგაში" ამ სეზონში უნდა ჩატარდეს. „მალაგამ" წინა სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, რაც ამ გუნდისთვის უდიდესი მიღწევა იყო, მაგრამ მას მერე, რაც შეიხმა **ალ თანიმ** კლუბის დაფინანსება შეწყვიტა, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ „მალაგამ" ასეთი ან ამასთან მიახლოებული შედეგი გაიმეოროს - გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს.

ამ მატჩის შემდეგ „სევილია" „ხეტაფეს" მიიღებს. ანდალუსიელებმა წინა სეზონი ჩააგდეს და ფანების თვალში რეაბილიტაცია სურთ. „ჩვენი მიზანი ევროპაში გასვლაა. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაც შეგვიძლია," - ეს **პიოტრ ტროხოვსკის** სიტყვებია.

შაბათის მესამე მატჩი კი „მალიორკასა" და „ესპანიოლის" დუელია, რომელიც ჩვენი დროით ღამის პირველ საათზე დაიწყება. სწორედ მატჩის ამ დროს დანიშვნამ გამოიწვია უდიდესი პროტესტი. ამ და სხვა, აქამდე ბევრჯერ ნახსენები მიზეზების გამო ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებას საფრთხე ემუქრებოდა - 13 კლუბი პირველ ტურს ბოიკოტს უცხადებდა, მაგრამ საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელებმა თავისი მაინც გაიტანეს.



ასე ზეიმობდნენ ვიგოს „სელტას" ფეხბურთელები ელიტაში დაბრუნებას

### ბილსა საკადრო პრობლემების წინაშე

ხვალ „რეალისა" და „ბარსელონას" მატჩების გარდა, ორი შეხვედრა შედგება - პირველი ბილბაოს „ატლეტიკისა" და „ბეტისის" დაპირისპირებაა. ბასკური კლუბი საკადრო პრობლემების წინაშე დგას: ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ბილბაოს" ორი უმთავრესი ლიდერი დატოვებს - **ხავი მარტინესს** „ბაიერნში" გადასვლა უნდა და ორიოდ დღის წინაც გაცნობეთ, რომ ტრანსფერი გადაწყვეტილია და მის საბოლოო დადასტურებამდე დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი, **ფერნანდო ლორენტემ** კი საჯაროდ განაცხადა, რომ „ატლეტიკთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბილბაოდან" ახლავე წავა. ლორენტე სავარაუდოდ ტურინის „იუვენტუსში" ამოყოფს თავს.

ხავი მარტინესისა და ფერნანდო ლორენტეს წასვლა ბასკთა თავკაც **მარსელო ბიელსასთვის** სერიოზული პრობლემა იქნება, რადგან ამ ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლა შეუძლებელია. არადა, „ბილბაოს" „ბარსას" და „რეალის" მერე ყველაზე მყარი და უპრობლემო ფინანსური მდგომარეობა აქვს.

კვირის მატჩებს გასული სეზონის ყველაზე სენსაციური გუნდის, „ლევანტეს" და ევროპალიგის გამარჯვებულის, მადრიდის „ატლეტიკოს" დუელი დახურავს. შეგახსენებთ, რომ მასპინძლები **კრისტიან ლელით, თეოფანის გეკასით, ნიკოს კარაბელასით, კეილორ ნავასითა** და **პაპაკოული დიოპით** გაძლიერდნენ.

ორშაბათს კი სამი მატჩი გაიმართება. პირველი ელიტაში დაბრუნებული ლა კორუნიის „დეპორტივოსა" და „ოსასუნას" ჯახია, რომლის შემდეგაც „რაიო ვალეკანო" „გრანადას" მიიღებს, პირველი ტურის უკანასკნელ მატჩში კი „სარაგოსა" „პრიმერადივიზიონში" დაბრუნებულ კიდევ ერთ კლუბს, „ვალიადოლიდს" უმასპინძლებს, რომელმაც **პატრიკ ებერტი** (ჰერტადან), **ანტონიო რუკავინა** (მიუნხენ 1860-დან), **ხუან ანხელი** (ხიმნასიადან), **სასტრე** და **ვიქტორ პერესი** (ორივე უესკადან) გადაიბირა.

**გოტფრიდ ლენცი**


Oxford MEDICAL

არ გადადო, დროულად მოირჩინე პროსტატის ადენომა!




უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- არემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

დერმატოლოგია
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (გადიდება) არის დაავადება, რომელიც დაკავშირებულია მამაკაცის ასაკის მატებასთან. თუმცა თავისთავად იგი არ არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა და ვლინდება ძირითადად შარდვის გამოყოფის გაძნელებით. მამაკაცთა უმრავლესობის აზრით, თითქმის ყველა მამაკაცს აქვს პროსტატის ადენომა, არადა, სინამდვილეში ავადდება ყოველი მე 5-6 მამაკაცი, თანაც დაავადება ვლინდება მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილში. დროულად ჩატარებული გამოკვლევა და დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პროსტატის ადენომა, სწორი მედიკამენტოზური მკურნალობა (ექიმის კონტროლის ქვეშ) იძლევა ძალზე სასურველ და სტაბილურ შედეგ. ხოლო გართულების შემთხვევაში (მკურნალობის დაგვიანების შედეგად) როგორიცაა შარდის შეკავება, სისხლიანი შარდი, ოპერაციული მკურნალობა გარდაუვალი ხდება. ექიმი-უროლოგი ვიტალი ბერიშვილი მისი მიგვარების მრტივს გზებს გთავაზობთ.

**როდის**
გქონდათ ბოლოს სექსუალური კონტაქტი?
ჩაიტარეთ ბოლოს პროფილაქტიკური გამოკვლევა უროლოგთან ან სექსოლოგთან?
დაუსვით შეკითხვა თქვენს თავს ხომ არ გაქვთ ქლამიდოზი, მიკოპლაზმოზი, კანდიდოზი, ტრიქომონიაზი ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადება?

**იცით იცით თუ არა რომ**
B ჰეპატიტი შეიძლება გავრცელდეს სქესობრივი გზითაც.

**თქვენ**
გაქვთ სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება?
დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სექსუალური პარტნიორები „სტერილური" და ჯანმრთელები არიან?

**გსურთ**
დაივიწყოთ ინფექციები და ანთებითი პროცესები?
გაიუმჯობესოთ სექსუალური პოტენციალი?

**შეგიძლიათ**
არ იყოთ გაურკვევლობაში ყოველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ!
გაიაროთ სრული გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოთ დროული მკურნალობა!
გაიგოთ თქვენი პრობლემების მიზეზი და შესძლოთ მათი მოგვარება! არ გარისკოთ თვითმკურნალობა!

**დათა, 32 წლის:**
– ღამით ხშირი შარდვა ტანჯვად მექცა. ამას სექსუალური პრობლემების დაერთო. კარგა ხანს ვიკავებდი თავს, მაგრამ როცა შარდში სისხლიც შევნიშნე, მივხვდი, რომ ექიმთან უნდა მივსულიყავი... კლინიკა „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიაში" სრული გამოკვლევა ჩავიტარე და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან ვიმკურნალე. თანდათან ვგრძნობ, რომ შედეგი იმაზე რეალურია, ვიდრე ველოდი.

Oxford MEDICAL
©229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

ამბები

## ეჩებარია ვოლფსბურგში?

ესპანური გაზეთის, AS-ის ცნობით, „ბეტისის" ნახევარმცველი **ბენატ ეჩებარია** შესაძლოა გერმანულ „ვოლფსბურგში" გადავიდეს. როგორც ჩვენი ესპანელი კოლეგები იუწყებიან, ვოლფსბურგელებმა 25 წლის ფეხბურთელის თაობაზე სევილიელებთან მოლაპარაკებები დაიწყეს. AS იმასაც წერს, რომ „ბეტისი" ეჩებარიას 10 მილიონ ევროდ აფასებს, „ვოლფსბურგს" კი ამ ფეხბურთელში მხოლოდ 7 მილიონი ემეტება.

## სიმაო ესპანეთში ბრუნდება

თითქმის გადაწყვეტილია, რომ პორტუგალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **სიმაო** კარიერას პრიმერადივიზიონში გააგრძელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 32 წლის ფეხბურთელი ესპანეთში მესამედ დაბრუნდება. სიმაო ამ დღეებში „ესპანიოლში" ისინჯებოდა და გუშინ საღამოს სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, „ესპანიოლი" მას 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობს. გასული სეზონი სიმაომ თურქულ „ბეშიქთაშში" გაატარა. შეგახსენებთ, რომ 1999-დან 2001 წლამდე „ბარსელონას" ღირსებას იცავდა, 2007-დან 2010 წლამდე კი მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი გახლდათ.

## კლოპი: შემოვიღოთ ფეხბურთში წუთშესვენება!

დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** ფეხბურთში წუთშესვენების შემოღების იდეა წამოაყენა. *„ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი იქნებოდა. მცირე შესვენებები არსებობს ხელბურთში, კალათბურთსა და ამერიკულ ფეხბურთშიც და ეს ხელს არავის უშლის. ცუდი არ იქნებოდა, რომ მწვრთნელების მატჩის დროს ფეხბურთელების შეკრებისა და ახსნა-*



იურგენ კლოპი

*განმარტებების მიცემის საშუალება გვქონდეს. ვფიქრობ, ეს საფეხბურთო მატჩებს უფრო დაძაბავს - წარმოიდგინეთ, მეტოქე იღებს წუთშესვენებას, შენ კი ეს არ გჭირდება! როგორია?"* - განაცხადა გერმანიის ჩემპიონის 45 წლის დამრიგებელმა „თაგესშპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## სამბრანო და კუემაა აინტრახტში

ფრანკფურტის „აინტრახტმა" გუშინ ორი ახალი ფეხბურთელი გაიფორმა: საუბარია **კარლოს სამბრანოზე**, რომელმაც პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და **დორგე კუემააზე**, რომელიც ფრანკფურტში „ბრიუგედან" ერთწლიანი არენდით გადავიდა.

## ლევანტე დუდკასაც უმიზნებს

„ლევანტე" სავარაუდოდ კიდევ ერთ ახალ ფეხბურთელს, კერძოდ **დარიუშ დუდკას** გადაიბირებს. პოლონელი ფეხბურთელი ესპანურ კლუბში დღეს-ხვალ სამედიცინო შემოწმებას გაივლის - 28 წლის დუდკა „ლევანტეში" ფრანგული „ოსერიდან" უფასოდ გადადის.

**გოტფრიდ ლენცი**

დანიშვნა

# მოსკოვის დინამო პეტრესკუს ჩააბარეს



დან პეტრესკუ

გუშინ გადაწყდა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ მოსკოვის „დინამოს" რუმინელი მწვრთნელი, რუმინეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **დან პეტრესკუ** უთავკაცებს. მოსკოვურ კლუბთან, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში უგოლოდ და უქულოდ ბოლო ადგილზეა, 44 წლის სპეციალისტმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პეტრესკუმ, რომელსაც რუმინეთის ნაკრებში 95 მატჩი აქვს ჩატარებული, „დინამოში" დროებითი მწვრთნელი **დმიტრი ხოხლოვი** შეცვალა, რომელიც გუნდს მას მერე ედგა სათავეში, რაც **სერგეი სილკინი** გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ მოსკოვურმა კლუბმა ეს უკანასკნელი თვის დასაწყისში, „სპარტაკთან" 0:4-ზე განადგურების შემდეგ დაითხოვა. დან პეტრესკუ კრასნოდარის „კუბანს" წვრთნიდა.

მწვრთნელთან ერთად, „დინამოში" პრეზიდენტიც შეიცვალა: ამიერიდან კლუბს კგბ-ს ყოფილი ფუნქციონერი **გენადი სოლოვიოვი** მიხედავს.

**გოტფრიდ ლენცი**

სავარაუდო გაცვლა

# გარგანო პაცინის სანაცვლოდ

**ჯამპაოლო პაცინის** რომ "ინტერის" დატოვება სურს, დიდი ხნის ამბავია, მაგრამ ამ საქმეს არა და არ დაადგა საშველი... თუმცა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყინული დაიძრა და დიდია შანსი, 28 წლის ფორვარდმა ნავსაყუდელი შეიცვალოს. საქმე იმაშია, რომ "ინტერის" მესვეურები "ნაპოლის" ურუგვაელი ნახევარმცველით, **ვალტერ გარგანოთი** დაინტერესდნენ და სამხრეთელებს მის ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. თუ "გაძეტა დელო სპორტს" ვენდობით, ნეაპოლელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმეტებენ 28 წლის სამხრეთამერიკელს, თუ სანაცვლოდ ჯამპაოლო პაცინის მიიღებენ, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მილანიდან აბარგებას ეშურება; მოკლედ, ბარტერის კონტურებიც გამოიკვეთა და ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, მოლაპარაკებაც დაიწყო – ამას "ინტერის" სპორტული დირექტორის, **მარკო ბრანკას** სიტყვები ადასტურებს:

*"სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ ვაპირებთ ერთი ან ორი ფეხბურთელის გადაბირებას და ვადასტურებ, რომ სამიზნეში ვალტერ გარგანოც გვყავს. ნახევარდაცვას გაძლიერება სჭირდება და ურუგვაელი სწორედ ისაა, ვინც ამას შეძლებს. არც იმას დავმალავ, რომ ნეაპოლელებს ჯამპაოლო პაცინის გადაბირება სურთ და ბარტერთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს. შეთანხმებამდე ჯერ ადრეა, მაგრამ პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. თუმცა, ამ საკითხზე ანდრეა სტრამაჩონისთან იგეგმება კიდევ ერთი შეხვედრა და იქ უკვე ბევრი რამე გადაწყდება".*

**ლაშა წიკლაური**



ჯამპაოლო პაცინის "ნაპოლის" ვარიანტი გამოუჩნდა

მარსელი

# რემი უკვე ვარჯიშობს

"მარსელის" 25 წლის ცენტრფორვარდი **ლოიკ რემი** ბარძაყის ტრავმის მოშუშების შემდეგ უკვე დაუბრუნდა სრულფასოვან ვარჯიშებს. მართალია, ის ოპტიმალური ფორმისგან ძალიან შორსაა, მაგრამ იმედი აქვს, რომ **ელი ბოპი** მას ლიგა 1-ის II ტურში "სოშოსთან" შეცვლაზე მაინც ათამაშებს. "მარსელის" წინახაზელთაგან ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ **სულეიმან დიავარასა** და **ანდრეს აიუს**. ასე რომ, რემის მინდორზე გამოჩენის შანსი ნამდვილად აქვს.

საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელმა ბარძაყი სწორედ სანაკრებო შეკრებაზე დაიზიანა. **ლორან ბლანს** ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ დაზიანება სერიოზული არ იქნებოდა და მას განაცხადების ჩაბარების ბოლო დღემდე შეკრებიდან არ ათავისუფლებდა. მარსელში დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთეს. აღდგენითი პროცესი თითქმის 2,5 თვე გაგრძელდა.

**ლევან ბიბილაშვილი**



ანდრე პიერ ჟინიაკი, ლოიკ რემი და მატიო ვალბუენა

ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟოზე ბოსინგვა

## ბოსინგვა ქუინზ პარკში

"ჩელსიმ" 29 წლის პორტუგალიელ **ჟოზე ბოსინგვას** ახალი ხელშეკრულება აღარ შესთავაზა. ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდა და ახალი კლუბის ძებნა დაიწყო. პირველი რეალური წინადადება მას საფრანგეთის ლიგა 1-ის ექსჩემპიონმა "ლილმა" შესთავაზა. ბოსინგვა ჩავიდა ჩრდილო საფრანგეთში, "ძაღლების" ბანაკში ორიოდე დღე ივარჯიშა კიდეც, მაგრამ კლუბს პირობებზე ვერ შეუთანხმდა და უკან ინგლისში გაბრუნდა. "ლილის" გარდა მას "მონაკოც" იწვევდა, მაგრამ პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებული გუნდიდან ლიგა 2-ში დაქვეითება არ ისურვა. მან **კლაუდიო რანიერის** უარი სტკიცა. და აი, გუშინ "სქაი სპორტსის" ცნობით, ჟოზეს სასურველი ხელშეკრულება (3-წლიანი) "ქუინზ პარკმა" შესთავაზა. ხელფასის ოდენობაზე სპორტული ვებგვერდები ჯერჯერობით დუმან.

## ლორიანმა კაპიტანი 6 თვით დაკარგა

"ლორიანის" ვებგვერდმა გუნდის ფანებს სამწუხარო ინფორმაცია ამცნო - გუნდის კაპიტან **ბრუნო ეკუელ-მანგას** მუხლის ჯვარედინი იოგების გაწყვეტა დაუდგინდა. საბრალო ფეხბურთს მინიმუმ 6 თვით ჩამოშორდა. ფეხბურთელმა დაზიანება "პარი სენ-ჟერმენთან" I ტურის მატჩში მიიღო.

## დისკვალიფიკაციები საფრანგეთში

საფრანგეთის ლიგა 1-ის სადისციპლინო კომიტეტმა I ტურის დროს ჩადენილი უსაქციელობების გამო ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს დისკვალიფიკაციები ჩამოურიგა. "ტულუზის" მცველ **სერჟ ორიეს** 3 მატჩით აეკრძალა თამაში (1 პირობითი); 2-2 მატჩს გამოტოვებენ **ადრიენ რეგატენი** (ტულუზი), **ჟამელ საიჰი** (მონპელიე), **ჟირეს კემბო-ეკოკო** (რენი) და **მეჰდი მოსტეფა** (აიაჩო); 2 მატჩით (1 პირობითი) აეკრძალა ასპარეზობა "ლორიანის" მცველ **გრეგორი ბურიიონს**. ყველაზე მკაცრი სანქცია "აიაჩოს" მთავარი მწვრთნელის **ალექს დიუპონის** წინააღმდეგ დაადგინეს – არასპორტული საქციელისთვის მას 6 მატჩით (3 პირობითი) მოუწევს გუნდის თამაშის ტრიბუნებიდან ყურება.

## იგუაინი კიდევ ოთხი წლით რეალში



გონსალო იგუაინი

მადრიდის "რეალის" 24 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა **გონსალო იგუაინმა** სამეფო კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, იუწყება ესპანური "მარკა". სამხრეთამერიკელს ხელფასი გაეზრდება და ის წელიწადში 4,5 მილიონ ევროს მიაღწევს. კონტრაქტის გახანგრძლივებას პირადად **ჟოზე მოურინიო** ითხოვდა. პორტუგალიელს ეშინოდა, რომ მის შეგირდს ბოლოს და ბოლოს სძლევდა სული და "მანჩესტერ სიტის" მომხიბვლელ პირობებს დათანხმდებოდა. "ქალაქელები" მას წელიწადში 6,5 მილიონს სთავაზობდნენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მან საკუთარ თავს აჯობა

## მოძმანაშვილი: ტაიმაზოვი უკეთ იყო მომზადებული

ოლიმპიადა დიდი ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური და ყოველმხრივი დატვირთვაა, ძალიან დიდი ენერგია წაიღოო, მითხრა თავისუფალ ჭიდაობაში ან უკვე ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა დავით მოძმანაშვილმა (120), რომლის კარიერასაც აქამდე ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლები ამშვენებდა. თუმცა დასვენებას ახლაც ვინ აცლის - სამეგობრო-სანათესაოს მილოცვებს ბოლო არ უჩანს, სექტემბრის დადგომისთანავე კი ვარჯიში უნდა განაახლოს... მასთან ინტერვიუც ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ.



**- ალბათ, მოპოვებული წარმატების შემდეგ ჯერ ისევ ემოციებში ხართ...**

- სხვათა შორის - არა, ემოციებში უფრო გარშემო მყოფები არიან, თორემ ჩემი განწყობა ჩვეულებრივია. ოღონდ ჯერ დასვენება არ მიგრძვნია, რადგან კვლავაც გრძელდება მილოცვები და ქეიფი. მოდიან ნათესავები, მეგობრები, ახლობლები და მილოცავენ. გუშინ მოძღვარიც მესტუმრა, რომლის სიტყვებიც შევასრულე და ლონდონში მეტოქისადმი სიძულვილი არ გამომიხატავს, ქრისტიანობა ხომ სიყვარულია. სპორტში პოლიტიკური დაპირისპირება არ გადმოდის და იმავე რუსებთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს. პოლიტიკის გავლენა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იგრძნობა. მაგალითად, თუ ირანელი ამერიკელს ხვდება - რომ გაუშვა, შეიძლება მოკლას კიდეც. ჩვენ ასე არ ვართ. იმავე დაღესტნელებთან, ჩრდილოკავკასიელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. დაღესტანში რეგულარულად ჩავდივართ ტურნირებზე და ქართველებს გამორჩეული პატივით გვეპყრობიან. ქუჩაში ჩვენი სიმბოლიკიან-წარწერებიანი მაისურით რომ გავალთ, იგრძნობა ეს პატივისცემა. ჩვეულებრივ ხალხს თბილი დამოკიდებულება აქვს ჩვენდამი, ძმებს გვეძახიან და წუხილსაც გამოთქვამენ იმ პოლიტიკური ბარიერების გამო, რაც ხელს გვიშლის უშუალო ურთიერთობაში.

სხვათა შორის, შარშან თურქეთში ვისვენებდი, სადაც რუსების ოჯახი გავიცანი. მათ მითხრეს, საზოგადოებაში ანტიქართულ განწყობას ნერგავენ, მაგრამ უბრალო ხალხი თბილადაა საქართველოსადმი განწყობილიო.

**- ოლიმპიადას, როგორც ტურნირს, როგორ აფასებთ? მაგალითად, მარსაგიშვილმა მას სპორტული ზეიმი უწოდა, სადაც, მსოფლიოს ან ევროპის პირველობებისგან განსხვავებით, წინა პლანზე არა პაექრობაა წამოწეული, არამედ - საზეიმო ატმოსფერო.**

- ვეთანხმები მარსაგიშვილს, რომ ეს მართლაც სპორტის ზეიმია. იქ ნაღდად არაა ის დაძაბულობა, რაც მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე იგრძნობა. ეს დღესასწაულია, სადაც ყველა მხრიდან მუსიკა ისმის, ხალხი ცეკვავს, მღერის, ერთობა, იგრძნობა კეთილგანწყობა და ისიც, რომ ერთმანეთის ნახვა უხარიათ. თუმცა იმათთან შედარებით, ჩვენთვის მაინც ბევრად უფრო დაძაბული შეჯიბრებაა. ისინი ნაგებას ჩვეულებრივ ამბად ილებდნენ და მარცხის მერეც მთელი ღამე ერთობოდნენ, ჩვენთვის კი ეს ტრაგედია იყო.

**- დაგვეთანხებით, ამ ზეიმს აუფერულებს ის არაობიექტურობა და სპორტსმენთა დაჩაგვრა, რაც საკუთარ თავზე ვიწვნიეთ...**

- ფული იქაც ტრიალებს და ეს უსამართლობაც აქედან მოდის. ვინც დიდ ფულს გადაიხდის, მას მიეხმარებიან კიდეც. ასე მოექცნენ ვლადიმერ გეგეშიძეს, რომელსაც, შეიძლება ითქვას, მედალი ჩამოგლიჯეს კისრიდან. შენ არ გინდა ეს ჯილდო, ჩვენ გვჭირდება და მოგვეციო, დაახლოებით ასეთი რამე გამოუვიდათ. ის ჯერ რუს ალან ხუგაევთან დაჩაგრეს ნახევარფინალში, ხოლო ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ყაზახ დანიალ გაჯიევთან წარმოუდგენელი რამე გაუკეთეს. ძალიან დათრგუნული იყო ბიჭი, ორი დღე თავი არ აუწევია ზევით. ძალიან ძნელია, როცა ამდენს წვალობ, ამდენი დატვირთვა, ამდენი ყოველდღიური შრომა, ნერვები, განცდა, ტანჯვა გრჩება უკან და შედეგს მაინც ვერ აღწევ...

**- წინასაოლიმპიადო პერიოდი რამდენად ძნელი იყო ფსიქოლოგიურად, გრძნობდით დატვირთვას?**

- არა, არ ვიყავი დაძაბული. ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ბევრად ვნერვიულობ, ამჯერად კი ხალისით ვვარჯიშობდი. ვფიქრობ, იმიტომ, რომ ოლიმპიადისთვის განსხვავებულად ვმუშაობდი, უფრო ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი. საერთოდ, ოლიმპიადას ის იგებს, ვისაც უკეთესი ფსიქოლოგიური მომზადება, უკეთესი ნერვები აქვს. შარშანდელი მსოფლიოს მედალოსნებიდან ერთეულებმა თუ მიაღწიეს წარმატებას - ისინი ფსიქოლოგიურად „იწვებიან". ამიტომ ხდება ოლიმპიადაზე ბევრი სენსაცია.



**- ფინალში უზბეკ არტურ ტაიმაზოვთან გქონდათ მოგების შანსი?**

- შანსი როგორ არ მქონდა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას - ამ ეტაპზე ტაიმაზოვი ჩემზე კარგად იყო მომზადებული. თავს იმაში ვიდანაშაულებ, რომ მეორე პერიოდში ფეხის აღებისას ვიჩქარე და ილეთი სწორად ვერ გავაკეთე, თორემ მესამე პერიოდში იქნებ სხვა ჭიდაობა გვენახა. იმ მომენტში მეგონა, რომ დავსვი ლეიბზე, მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა. ვფიქრობ, ტაიმაზოვი ასეთ ფორმაში არც ერთ ოლიმპიადაზე არ ყოფილა და სწორედ ახლა უწია პიკს 33 წლის ასაკში. ყველა მეტოქე აბურთავა, ისე იოლად მოუგო. ალბათ, მასთან უფრო შემტევ სტილში უნდა მეჭიდავა, წამითაც არ უნდა გავჩერებულიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე, ძალით გამაჩერა.

**- განწყობა გქონდათ შემტევი? თითქოს ფინალში გასვლისას არ გეტყობოდათ ჟინი...**

- არა, განწყობა ჩვეულებრივი იყო - როგორც სხვა შეხვედრებისთვის ვხურდებოდი, აქაც ისე მოვემზადე. უბრალოდ, მე არ შემიძლია, განწყობა ემოციურად გამოვხატო, როგორც ამას მახოვი აკეთებს. ნამდვილად არ ყოფილა, რომ თითქოს წინასწარ შევეგუე მარცხს. უბრალოდ, გარკვეული განცდა ნებისმიერ სპორტსმენს აქვს. ტაიმაზოვთან აქამდე არ მიჭიდავია,



არ ვიცნობდი მას და გარკვეულ გეგმას ვაწყობდი, მაგრამ ლეიბზე სულ სხვანაირი ჭიდაობა წავიდა. რეალურადაც რომ შევხედოთ, ტაიმაზოვი ბევრად ძლიერია მახოვზე.

**- ვარჯიშებზე ტაიმაზოვის წინააღმდეგ თუ ამუშავებდით საჭიდაო გეგმას, ან ასეთი ინდივიდუალური მუშაობა თუ მიდიოდა სხვა მეტოქეებზე?**

- ინდივიდუალურად ნამდვილად ვმუშაობდით, მაგრამ მთავარ კონკურენტად უფრო მახოვს განვიხილავდით. ტაიმაზოვისადმი ყურადღება ცოტა მოდუნებული იყო. ვფიქრობდით, უკვე ბებერია, თან ამდენ წამლებს ილებს და ორგანიზმი ძველებურად არ მოჰყვებაო. ამასთან, პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ის მსოფლიოს ორ პირველობაზე გამოვიდა და ორივე წააგო - ჯერ იმავე მახოვთან, მერე კი ამერიკელ ტერველ დლაგნევთან. ამიტომ უფრო მახოვზე ვამახვილებდით ყურადღებას, რომელმაც ზედიზედ სამი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, და გამოგვივიდა კიდეც მასთან ჭიდაობა.

**- ლონდონამდე პეკინის ოლიმპიადასაც ესწრებოდით მაყურებლის რანგში, თუმცა როგორც ჩინეთის ნაკრების სპარინგ-პარტნიორი, შიდა სამზარეულოში მეტ-ნაკლებად ტრიალებდით. დიდი იყო განსხვავება ამ ორ თამაშებს შორის?**

- ოლიმპიური თამაშები სხვა ტურნირებისგან განსხვავებული შეჯიბრება რომ იყო, პირველად იქ ვიგრძენი. მაშინ იმას ვფიქრობდი, როდის გავიდოდა დისკვალიფიკაციის ის ორწლიანი ვადა, მერე იმ ორი წლის შემდეგ რა იქნებოდა... სპორტში დაბრუნება წარმატებულ მოჭიდავედ და არა უბრალოდ ათლეტად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ჩემს თავს ვძლიე. თუმცა იმ ორმა წელიწადმა დიდი კვალი დატოვა. პირველად რომ გავედი საჭიდაოდ, დაბნეული ვიყურებოდი, ეს სად ვარ-მეთქი. მაშინ ვისთან წავაგე, არც მახსოვს.

მერე და მერე დავიწყე საკუთარ თავზე მუშაობა, ფსიქოლოგთანაც დავდიოდი და ამანაც მიშველა, მაგრამ ყველაზე დიდი ფსიქოლოგები ოჯახის წევრები - დედ-მამა, მეუღლე, და-ძმა იყვნენ. წაგების მერე ადამიანი დეპრესიაში ხარ, ისინი კი სხვანაირად მახალისებდნენ, რომ ისევ შემართებით დამეწყო ვარჯიში, ისევ მოვმზადებულიყავი. შარშან ლიცენზია და მედალი რომ მოვიპოვე მსოფლიოზე, მაშინ ვიგრძენი, რომ ფსიქოლოგიური ბარიერი გადავლახე. მართალია, იქ ცუდად ვიჭიდავე, არ ვარ კმაყოფილი, მაგრამ შინ დაბრუნებულმა ვთქვი, პრობლემები გადაილახა - მეთქი.

**- ფსიქოლოგი თუ მუშაობს გუნდში?**

- ფსიქოლოგი წასვლამდე ერთი კვირით ადრე მოგვიყვანეს შეკრებაზე, ძალიან კარგი პიროვნებაც აღმოჩნდა და ძალიანაც დამეხმარა. ვფიქრობ, ფსიქოლოგი აუცილებელია, სპორტსმენის უკან იმდენი შრომა, დატვირთვა და სტრესია.

**- ლონდონში ბრაზილიის ფრენბურთელ ქალთა გუნდში ტექნიკური პერსონალის 14 წარმომადგენელი იყო, რომლებიც მწვრთნელებს ეხმარებოდნენ მუშაობაში. თქვენ რამდენი კაცი გამზადებდათ ამ თამაშებისთვის?**

- მხოლოდ მწვრთნელები - პირადი და ნაკრებისა. ჩემი პირადი მწვრთნელი დავით ხურციაა, რომელსაც კიდევ ორი სპორტსმენი ჰყავს ნაკრებში - დავით მარსაგიშვილი და მალხაზ ზარქუა... ამ დროს რუსეთის ნაკრებში ყველას თავისი ფსიქოლოგი და ექიმი ჰყავს. მძიმე წონას რაც სჭირდება, იქნებ ის მჩატეებს არ მოუხდება ან სხვა დოზით უნდა გამოყენება. მაგალითად, 55 კილოგრამის ფალავანი რასაც ირბენს, მე იმდენს ვერ შევძლებ; მე რასაც ავწევ სიმძიმეს, ის იმდენს ვერ შეძლებს... ერთი სიტყვით, სხვანაირი სპეციფიკაა, რასაც მომზადებაც განსხვავებული სჭირდება.

**- ჭიდაობამ სანახაობრივი მხარე დაკარგა. ამის მიზეზად რას მიიჩნევთ?**

- ჯერ ერთი, ჭიდაობა ყველამ ისწავლა. ფიზიკურად იმდენად მომზადებულები ჩამოდიან, ბევრი ილეთი ველარ კეთდება, თუმცა ეს წესების შეცვლამაც გამოიწვია - პერიოდებად დაყოფის გამო აქტუალური უფრო ტაქტიკური ჭიდაობა გახდა. თუმცა 2-წუთიანმა პერიოდებმა ჭიდაობა იქნებ უფრო სწრაფიც გახადა.

**- შვილზეც გკითხავთ, რომელიც აქტიური ქომაგია. მას თუ მიიყვანთ ჭიდაობაზე?**

- ჯერჯერობით ერთი შვილი მყავს - ნიკოლოზი, თუმცა მეორესაც ველოდები. ნიკოლოზი 2 წლისაა და ლონდონიდან რომ ვურეკავდი, სულ მეკითხებოდა - მამა, იჭიდავე? მამა, რა ჰქენი? მოჭიდავე თუ გამოვა, არ ვარ წინააღმდეგი, მაგრამ იქნებ არც მივიყვანო, რადგან ეს წარმოუდგენლად დიდი შრომაა.

**- ალბათ, საჭიდაო კარიერის დასრულების შემდეგ ისევ ჭიდაობაში დარჩებით...**

- არ ვიცი, ჯერ ახალგაზრდა ვარ და კარიერის შემდგომ პერიოდს დღეს არ ვგეგმავ. ჩემი ფიქრი ჯერ მომავალ ტურნირებს დასტრიალებს.

**- იმედია, ბევრი სპორტსმენივით, წარმატების მოპოვების მერე საერთოდ რომ არ უჭიდავიათ, თქვენც არ შეეშვებით სპორტს და მომავალ ოლიმპიადაზეც გაგვახარებთ მედლით.**

- სპორტზე გულის აცრუებას არ ვაპირებ და სხვების შეცდომებს არ გავიმეორებ, მომავალ ოლიმპიადაზე კი ჯერ მოვხვდე... ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ გამორიცხული არაფერია და ხომ შეიძლება, ტრავმა მივიღო! ჩემს წონაში კარგი ბიჭებიც მოდიან, თუმცა კონკურენცია საჭიროა და მივესალმები - ეს აუცილებელია როგორც ჩემი, ასევე მათი გაზრდისთვის.

**ირაკლი თავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

● წყალბურთი


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## მეტოქეები და მატჩები ცნობილია, განრიგიც...

**უკვე გაუწყეთ, რომ წყალბურთში საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ლიგამუსი“ 13-16 სექტემბერს შინ — საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში ევროპის ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ტურნირს ესპანეთის „საბადელთან“, ბელარუსის „ვიტებსკისთან“ და პოლონეთის „ალკოლიასთან“ გამართავს.**

ცნობილი გახდა, წყალბურთელთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში თუ ვინ რომელ ჯგუფში ითამაშებს. ასევე, დადგენილია პირველი და მეორე ეტაპების ორთაბრძოლათა განრიგიც. **საქართველოს ნაკრები** თურქებთან და ბელარუსებთან ერთად **F ჯგუფში** მოხვდა. დანარჩენი ჯგუფები ასე დაკომპლექტდა:

**A ჯგუფი.** ესპანეთი, მალტა, უკრაინა.

**B ჯგუფი.** ჰოლანდია, სლოვაკეთი, დანია.

**C ჯგუფი.** ხორვატია, რუსეთი, პორტუგალია.

**D ჯგუფი.** რუმინეთი, სლოვენია, ისრაელი.

**E ჯგუფი.** მაკედონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი.

F ჯგუფში სპეციალისტები ფავორიტად თურქებს მიიჩნევენ. მომდევნო ეტაპზე გასასვლელი მეორე საგზურისთვის ბრძოლა, ფაქტობრივად, ქართველებსა და ბელარუსებს შორის წარიმართება. A ჯგუფში ესპანეთს, რომელმაც ლონდონის ოლიმპიადაზე მე-6 ადგილი დაიკავა, ალბათ, მალტა და უკრაინა სათანადო მეტოქეობას ვერ გაუწევენ. მომდევნო ეტაპზეც მასთან ბრძოლა იოლი არ იქნება. საკვალიფიკაციო და მომდევნო რაუნდში უპირობო ფავორიტები მაინც ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონები — ხორვატები არიან, რომლებმაც ბრიტანეთის დედაქალაქში ფინალური შეხვედრა იტალიელებს 8:6 მოუგეს.

ჯგუფებში პირველი მატჩები 2012 წლის 7 ნოემბერს, მეორე კი — 12 დეკემბერს გაიმართება. დანარჩენი შეხვედრები 2013 წლის 3 აპრილს, 5 ივნისს, 10 ივლისსა და 6 ნოემბერს ჩატარდება. პლეი ოფები 2014 წლის 15 თებერვალსა და 12 აპრილს არის დაგეგმილი. ამის შემდეგ გახდება ცნობილი იმ 6 გუნდის ვინაობა, რომლებიც 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი


ეკატერინე გორგოძე

## გორგოძე წინ მიიწევს

ქართველმა ჩოგბურთელმა **ეკატერინე გორგოძემ** გერმანული რატინგენის ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეც წარმატებით გაიარა — რუს ამინატ კუშკოვას ორ სეტში სძლია 6:3, 6:2.

წყვილებში გორგოძე **სოფია ქვაცაბაიასთან** ერთად პირველ ნომრადაა განთესილი. სტარტზე, როგორც გაუწყეთ, გერმანელებს — პედერსენსა და სტემერს სძლიეს, მეორე წრეში ასევე, მასპინძლები — კატრინა ლენერტი და იულია ვახაჩიკი დაამარცხეს — 6:1, 6:3. ნახევარფინალში ქართველი ჩოგბურთელები მე-4 ნომრად განთესილ ნიკოლა გუერსა (გერმანია) ამინატ კუშკოვას (რუსეთი) დაუპირისპირდებიან.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

## სწრაფი მოილიეს და კლასიკურს დაუბრუნდებიან

კაუნასში (ლიტვა) ორ დღეს გრძელდებოდა სენიორ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. საასპარეზოდ ცამეტი ქვეყნის 72-მა წარმომადგენელმა მოიყარა თავი.

პაექრობის პირველ დღეს 4 ტური გაიმართა, გუშინ კი 5 ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველთაგან შეჯიბრებაში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი**, დიდოსტატი **თამარ ხმიადაშვილი** და საერთაშორისო ოსტატი **ნინო მელაშვილი** მონაწილეობდნენ. სამივე მოჭადრაკემ 9 შესაძლებლიდან 5-5 ქულას მოუყარა თავი. ჩვენებურებმა ლატვიელ ტატიანა ვორონოვასთან და რუს ტატიანა ბოგუმილთან ერთად მეორე-მეექვსე ადგილები გაინაწილეს. 5,5 ქულით პირველი ადგილი ესტონელმა ტატიანა ფომინამ დაიკავა.

მამაკაცებში 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულით პირველი-მესამე ადგილები, შესაბამისად, ევგენი მოჩალოვმა, ვიქტორ კუპრეიჩიკმა (ორივე — ბელარუსი) და ევგენი სვეშნიკოვმა (ლატვია) გაიყვეს.

დღეიდან კაუნასში ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის მე-12 ჩემპიონატი გაიმართება კლასიკური პარტიებით (თითოეულ მოჭადრაკეს 40 სვლისთვის 90 წუთი მიეცემა, შემდეგ პარტიის დასამთავრებლად ნახევარი საათი ყოველ სვლაზე 30-30 წამის დამატებით). აქ მოასპარეზეთა საგრძნობლად მეტი რაოდენობა იქნება — მედლებისთვის 150-მდე ქალი და მამაკაცი (მათ შორის — 12 დიდოსტატი) იბრძოლებს.

ვაჟა დანელია


ბაადურ ჯობავა


ბელა ხოტენაშვილი

## ორი ქართველი გონიერთა თამაშში

წლეულს 12-დან 20 დეკემბრის ჩათვლით ჩინეთის დედაქალაქელი პეკინი მსოფლიოა ინტელექტუალურ თამაშებს უმასპინძლებს: 16-16 მოჭადრაკე ქალ-ვაჟი ერთმანეთს დაუპირისპირდება სწრაფ ჭადრაკში, დაფაზე დაუხედავად თამაშსა (ორივეში შვიდ-შვიდი ტური გაიმართება) და ბლიცში (15 ტური). პეკინში მიწვეულთა შორის არიან ქართველი დიდოსტატები — **ბელა ხოტენაშვილი** და **ბაადურ ჯობავა.** ჩვენებურებს მეტოქეობას გაუწევენ: **ქალები** — მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი, ჩჟაო სიუ (ორივე — ჩინეთი), ანა მუზიჩუკი (სლოვენია), ჰამფი კონერუ, ჰარიკა დრონავალი (ორივე — ინდოეთი), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა), ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ანა ზატონსკიხი (აშშ), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ელისაბედ პეტცი (გერმანია), მსოფლიოს ჩემპიონი ჟუ ჩენი (ყატარი), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი), მონიკა სოჩკო (პოლონეთი), ელინა დანიელიანი (სომხეთი), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი); **ვაჟები:** ლევონ არონიანი (სომხეთი), სერგეი კარიაკინი, ალექსანდრ გრიშჩუკი, ალექსანდრ მოროზევიჩი (სამივე — რუსეთი), ტეიმურ რაჯაბოვი, შაჰრიარ მამედიაროვი (ორივე — აზერბაიჯანი), ჰიკარუ ნაკამურა, გატა კამსკი (ორივე — აშშ), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ანიშ გირი (ჰოლანდია), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა), ვან ჰაო, დინ ლიჟენი (ორივე — ჩინეთი).

ვაჟა დანელია

● კალათბურთი. U18

## ფინიშის სწორზე

ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში დასასრულს უახლოვდება 18-წლამდელ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი B დივიზიონში. შეჯიბრების მე-2 რაუნდში საქართველოს ნაკრებმა J ჯგუფში ზედიზედ სძლია შვეიცარიას და ნორვეგიას და მე-17 ადგილისთვის ხვალ I ჯგუფის გამარჯვებულ ბელარუსს დაუპირისპირდება. მე-19 ადგილისთვის ლუქსემბურგი-ნორვეგია, ხოლო 21-ე ადგილისთვის შოტლანდია-შვეიცარია შეხვდებიან ერთმანეთს (ორივე მატჩი 19 აგვისტოს გაიმართება).

### I-VIII ადგილებისთვის

გაირკვა ის ოთხეული, რომელიც უმაღლესი ეშელონის ორი საგზურისთვის იბრძოლებს:

**E ჯგუფი.** ინგლისი — 5 (199:179), ჩეხეთი — 5 (228:202), ისრაელი — 5 (208:188), ესტონეთი — 3 (166:241) ქულა.

**F ჯგუფი.** ფინეთი — 5 (243:234), ბოსნია — 5 (245:223), ბელგია — 4 (221:227), ჩერნოგორია — 4 (210:235 ქულა.

ამდენად, დღეს, 18 აგვისტოს, **ნახევარფინალში** ითამაშებენ: ფინეთი — ჩეხეთი, ინგლისი — ბოსნია. მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ერთმანეთთან ურთიერთობას გაარკვევენ: ისრაელი — ჩერნოგორია, ესტონეთი — ბელგია (ორივე მატჩი 18 აგვისტოს ჩატარდება).

### IX-XVI ადგილებისთვის

**G ჯგუფი.** ავსტრია — 6 (207:171), უნგრეთი — 5 (226:166), სლოვაკეთი — 4 (154:182), რუმინეთი — 3 (162:230) ქულა.

**H ჯგუფი.** პორტუგალია — 6 (222:202), ჰოლანდია — 5 (228:224), შვედეთი — 4 (216:222), ისლანდია — 3 (221:239) ქულა.

**18 აგვისტო.** პორტუგალია — უნგრეთი, ავსტრია — ჰოლანდია, სლოვაკეთი — ისლანდია, შვედეთი — რუმინეთი.

ვაჟა დანელია




● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

## თიანეთობა კუჟბალში

თიანეთობის დღესასწაულს კარგა ხნის ტრადიცია აქვს. უწინ მას „მეცხვარის დღე“ ერქვა. თიანეთის ცენტრში მდებარე მშვენიერ „კუჟბალში“ სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებასთან ერთად ყურადღების ცენტრში იყო ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. მრავალი წელი ამ მხარეში ეროვნულ ჭიდაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. დღეს კი აშკარად ეტყობა გამოცოცხლება. ყველაზე მეტი ქომაგიც სწორედ ჭიდაობას ჰყავდა. დღესასწაულზე კახეთისა და ერწო-თიანეთის ქართულის მოჭიდავეები პაექრობდნენ. იყვნენ გორის რაიონიდანაც. მთელი დღე არ განელებულა ზურნა-დოლის ხმა „კუჟბალში“ მთავარი ორთაბრძოლები აბსოლუტურ პირველობაზე გაიმართა. აქ ყველას აჯობა ახმეტელმა ფალავანმა **ვახტანგ სარაჯიშვილმა**. წონით კატეგორიებში კი პირველი ადგილები მოიპვეს: **ნიკა ბებერაშვილმა** (30კგ. საყდრიონი), **ზაურ ივანაურმა** (34, თიანეთი), **გიორგი ახალაურმა** (38, მატანი), **თენგიზ ჩიტაურმა** - 42, **ვალერი ლატაურმა** - 46 (ორივე — ზარიძეები), **მერაბ გიუნაშვილმა** (50, ფლავისმანი), **ლევან ბერბერაშვილმა** (55, ზარიძეები), **მიხეილ ციხელაშვილმა** (60, ჭართალა), **ბესო ცალუღელაშვილმა** (65, იარაჯულები), **სოსო უძილაურმა** (70, ახმეტა), **პაატა დოლიაშვილმა** (75, ჟებოტა), **გიორგი ბიჩელაშვილმა** (80, ტუშურები).



გაბრიელ ზარზაძე

ავტორის ფოტო

ლეგიონერები

# დებიუტანტები და ელიტის ბინადარნი

**დღეს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის გათამაშება იწყება. აქ ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდი ასპარეზობს. შარშანდელი ჩემპიონი კი აქვსენტი გიორგაძის, ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის „ტულუზია“.**

ახალი შეჯიბრების გახსნის პატივი სწორედ ტულუზელებს ხვდათ წილად. ჩვენებურთა გუნდის მეტოქე შინ **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ იქნება. კასტრელებს ბოლო 11 სეზონის განმავლობაში სტუმრად „ტულუზისთვის“ არ მოუგიათ.

ქართველი მორაგბეები ტულუზელთა რიგებში ტრავმების გამო არ იქნებიან. ამავე მიზეზით დააკლდებიან გუნდს საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელები **იანიკ ჟოზიონი, იან დავიდი** და **მაქსიმ მედარი. ნიკოლას ვერგალო** და **პატრისიო ალბასეტე** კი არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ოთხი ერის გათამაშებაში იასპარეზებენ.

რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება „კასტრსაც“, მათ შორის არის ტრავმირებული შერკინების ქართველი პირველხაზელი ანტონ ფეიქრიშვილი. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, „კასტრი“ მეზობელ ქალაქში საბრძოლველად ჩავა, მით უფრო, რომ სეზონის წინ ორ საწვრთნელ შეხვედრაში შესანიშნავად გაისარჯა და ორივე მოიგო.

გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ სტუმრად ეთამაშება ბასკურ „ბაიონს“. თამაში შუადღის სამ საათზე უნდა გამართულიყო, მაგრამ რადგან ბასკების ქვეყანაში ძალიან ცხელა, შეხვედრა საღამოს 19 საათზე დაიწყება.

„ვულკანებმა“ საკმაოდ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გაიარეს და სპეციალისტთა შეფასებით საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის ყველაზე თანაბრად დაკომპლექტებული შემადგენლობა ჰყავს.

გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული ერთ-ერთი საუკეთესო მელელოვე **ნაპოლიონი ნალაგა.** პირველ ხაზს გააძლიერებს **ტომას დომინგო,** რომელსაც ასევე ტრავმის გამო ძალიან ბევრი გაუცდა. კლერმონის რიგებში დებიუტი ექნებათ **სტენლი ბენსონს** და **დამიენ შულის,** საეჭვოა **ორელიან რუჟერის** თამაში, რომელსაც მიკრო ტრავმა აწუხებს.

ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორისაა, კოლელიშვილი კი განაცხადში არ არის.

ფრანგული რაგბის ერთ-ერთი გრანდი, **ზურაბ ჟვანიას** პარიზული „სტად ფრანსე“ შინ მიიღებს **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს“. მასპინძელთა გუნდს გახსნის მატჩში 2005 წლის შემდეგ არ წაუგია. ფინანსური კრიზისის გამო ამ გუნდმა ბოლო სამი წელიწადია, პოზიციები დათმო და ახლა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ შელახული რეპუტაცია აღიდგინოს.

ამჯერად „სტად ფრანსე“ მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად მზადაა, რაც ახლახან არგენტინის ეროვნულ გუნდთან თამაშმაც დაადასტურა, რომელშიც პარიზელები უშელავათო ბრძოლაში დამარცხდნენ.

საფრანგეთის ჩემპიონატში დებიუტი ექნება ქართველ პირველხაზელ ზურაბ ჟვანიას, რომელიც პარიზულ გუნდში წლეულს ჩაირიცხა. მისი ფრანგული ეპოპეა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა „სტად ფრანსემ“ თავის რიგებში მიიწვია, თუმცა სავიზო პრობლემების გამო საფრანგეთში გამგზავრება ვერაფრით მოახერხა.

ამჯერად ჟვანიას გაუმართლა, საბუთები მოაწესრიგა და პარიზელებს თავი ისე მოაწონა, რომ გახსნით მატჩში ადგილი ძირითად შემადგენლობაში ანდეს.

„მონპელიეს“ ამჟამად საკადრო პრობლემები აწუხებს. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ფაბიენ გალტიე,** რომელიც „სტად ფრანსეს“ მორაგბე და მწვრთნელი იყო, ძალიან უკმაყოფილოა, რომ ყოფილ გუნდთან საასპარეზოდ ექვსი არგენტინელი მორაგბე აკლია, რომლებიც ოთხი ერის გათამაშებაში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ ითამაშებენ.

ტრავმირებულია და „სტად ფრანსესთან“ შეხვედრაში გუნდს ვერ დაეხმარება საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე. გიორგი ჟღენტი ძირითად შემადგენლობაშია და შერკინებაში პაექრობა ზურაბ ჟვანიასთან მოუწევს, მიხეილ ნარიაშვილი თადარიგში იქნება.

შეუპოვარი ბრძოლა გაიმართება კატალონიაში, სადაც „პერპინიანი“ **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“ დაუპირისპირდება. ჩვენებურთა გუნდმა შარშან ჩემპიონატის ფინალში „ტულუზთან“ წააგო. წლევანდელ სეზონს კი ბევრად უფრო გაძლიერებული ხვდება. სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნდა მგეზავი **ფრედერიკ მიშალაკი.** ტულონელთა რიგებში დებიუტი ექნებათ, **ვინსენ მარტის, ჯეტინ ჯენკინსს, მაქსიმ მერმოსსა** და **დელონ არმითიჯს.**

დავით ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორისაა, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ არიან.

**I დივიზიონი**

**I ტური**

**ტულუზი-კასტრი, ბაიონი-კლერმონი, აჟენი-მეტრო რასინგი, ბიარიცი-მონ დე მარსანი, ბორდო-გრენობლი, სტად ფრანსე-მონპელიე, პერპინიანი-ტულონი.**

■ ■ ■

ამასობაში მორიგი საწვრთნელი შეხვედრები გამართეს ელიტური, მეორე დივიზიონის გუნდებმა. **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი კობერიძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბიმ“ შინ დაამარცხა ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ნევერი“ - 30:27.

თოდუა ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულად ითამაშა, მაისურაძე, კობერიძე და თეთრაშვილი მატჩში მეორე ტაიმიდან ჩაერთნენ.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ სტუმრად მინიმალური სხვაობით დამარცხდა „ნარბონთან“ - 24:25. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს.



მარჯვნიდან მეორე დავით ზირაქაშვილი

ოთხი ერი




# ახალ სეზონს ბობოლები ხსნიან

**კეიპთაუნში, „ნიულენდ სთედიუმზე“ მსოფლიოს რაგბიში ახალი ისტორიის ათვლა დაიწყება. სამხრეთ აფრიკის ნაკრები ახალი ტურნირის, ოთხი ერის გათამაშების პირველ ტურში არგენტინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, რომელიც ამ ოცნების ახდენას დიდი ხანი მოთმინებით ელოდა.**

„პუმებმა“ ამ მათთვის ღირსშესანიშნავი დღისკენ მუხლჩაუხრელი შრომითა და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული თამაშით მიაღწიეს. ტურნირისთვის მზადებისას არგენტინის ნაკრების გასაძლიერებლად მთავარ მწვრთნელ **სანტიაგო ფელანს** კონსულტანტად ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **გრემ ჰენრი** დაუნიშნეს, რომელმაც „ოლ ბლექსში“ რვა წელიწადი ითამაშა და 2011 წელს გუნდს მსოფლიოს თასი მოაგებინა.

გამოცდილი ჰენრის ცოდნა, ცხადია, „პუმებს“ დიდად წაადგებათ, თუმცა რამდენად ეფექტური იქნება ის, მხოლოდ უშუალოდ მეტოქეებთან დაპირისპირებისას გამოჩნდება. რა თქმა უნდა, პირველივე ჯერზე არგენტინელები ციდან ვარსკვლავებს ვერ მოწყვეტენ, თუმცა ერთი რამ ცხადია, მათ წელიწადში ექვსჯერ მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან პაექრობა მხოლოდ სარგებელს მოუტანს და რამდენიმე წელიწადში ამ გუნდს ბობოლად თუ მოვიხსენიებთ, გასაკვირი სულაც არ იქნება.

ნიშანდობლივია, რომ არგენტინის ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია დაწყებული. ივნისის ტესტების შემდეგ რაგბიდან წავიდა შერკინების კვაჭი **მარიო ლედესმა,** სანაკრებო კარიერა დაასრულა **ფელიპე კონტეპომიმ,** ოთხი ერის გათამაშების დამთავრების შემდეგ ბუცებს ლურსმანზე დაკიდებს **მარკოს აიერსა.**

სამხრეთ აფრიკის ნაკრები კი ფაქტობრივად მთლიანად გადახალისდა. გუნდი რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა. **ვიქტორ მეტფილდი, ჯონ სმიტი, ბაკის ბოთა, ვინანდ ულიფიე** და **ჟაკ ფური** ის მორაგბეები არიან, ვინც მსოფლიოს რაგბიში ეპოქა შექმნეს და 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების „ბოკეს“ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

ამჯერად მათი ადგილი ახალმა მორაგბეებმა დაიკავეს, რომლებიც ეროვნულ გუნდში ასევე ახალმა მწვრთნელმა **ჰეინკე მეიერმა** მიიწვია. ცხადია, როგორც ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში, სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდი ოთხი ერის გათამაშებაშიც ფავორიტი იქნება. მით უფრო, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებთან ერთად კვლავ შესანიშნავ ფორმაში არიან მგეზავი **მორნი სტეინი,** გარემარბი **ბრაიან ჰაბანა** და ბოლო ხანს შუამარბად გაწესებული **ფრანსუა სტეინი.**

planetrugby-ს მიაჩნია, რომ სამხრეთაფრიკელებს დებიუტანტის დამარცხება დიდად არ გაუჭირდებათ და ერთგვარ სალაღობო მატჩში მინიმუმ ცხრა ქულის სხვაობით გაიმარჯვებენ.

სულ სხვაა სიდნეიში ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების დაპირისპირება. ეს გუნდები საუკუნეზე მეტია ნებისმიერ ტურნირზე კონკურენტები არიან და მათ შორის თამაში მუდამ შეუპოვრობით, უშელავათო ბრძოლით გამოირჩევა. შესაბამისად მაყურებლებისთვისაც, ბევრად უფრო საინტერესო სანახავი იქნება, ვიდრე, თუნდაც, „ბოკესა“ და „პუმების“ დაპირისპირება.

„ვოლაბები“ და „ოლ ბლექსი“ ოთხი ერის გათამაშების საკმაოდ სიმპათიურ თასთან ერთად ტრადიციულ, „ბლედისლოუს თასსაც“ გაითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ამ პრიზის მფლობელი ტრადიციულად, მეტოქე გუნდებს შორის მხოლოდ სამმატჩიანი სერიის დაპირისპირების შედეგად ვლინდება.

გუნდები დღევანდელ მატჩს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან. სტუმრად ბოლო ათი შეხვედრიდან შვიდში „ოლ ბლექსმა“ ავსტრალიას ხუთ ქულაზე ნაკლები სხვაობით მოუგო. planetrugby-ს პროგნოზით, ამჯერად ახალი ზელანდიის ნაკრები მინიმუმ რვა ქულით გაიმარჯვებს.

**სამხრეთ აფრიკა-არგენტინა**

**სამხრეთ აფრიკა:** 15. ზან კირხნერი, 14. ბრაიან ჰაბანა, 13. იან დე ფილიერსი, 12. ფრანსუა სტეინი, 11. ლვაზი მვოვო, 10. მორნი სტეინი, 9. ფრანსუა ჰუგარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. იან დუ პლესი. 4. ებენ ესტბესი, 5. ანდრიას ბეკერი, 6. მარსელ კუცია, 7. ვილემ ალბერტსი, 8. კიგან დენიელი.

16. ადრიან სტრაუსი, 17. პატ კილიერსი, 18. ფლიპ ფან დერ მერვე, 19. ჟაკ პოთხიტერი, 20. რუან პინარი, 21. პატ ლამბიე, 22. ჯეი ჯეი ენგელბერხტი.

**არგენტინა:** 15. ლუკას გონსალეს ამოროსინო, 14. გონსალო კამაჩო, 13. მარსელო ბოსხი, 12. სანტიაგო ფერნანდესი, 11. ორასიო აგულა, 10. ხუან მარტინ ერნანდესი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. ეუსებიო გუნაზუ, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო ფარიას კაბელო, 7. ალვარო გალინდო, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.

16. ბრუნო პოსტილიონი, 17. მარკოს აიერსა, 18. ხუან პაბლო ორლანდი, 19. ტომას ლეონარდი, 20. ლეონარდო სენატორე, 21. მარტინ ლანდაჰო. 22. მარტინ როდრიგესი.

**მსაჯი:** სტივ ველში

**ავსტრალია-ახალი ზელანდია**

**ავსტრალია:** 15. ქართლი ბეილი, 14. ადამ ეშლი-კუპერი, 13. რობ ჰორნი, 12. ენტონი ფაინგაა, 11. დიგბი იოანი, 10. ბერიკ ბარნსი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. ტატაფუ პოლოტა ნაუ, 3. სეკოპე კეპუ, 4. სიტელეკი ტიმანი, 5. ნათან შარფი, 6. დეივ დინსი, 7. დევიდ პოკოქი, 8. სკოტ ჰიგინნბოთამი.

16. სტივენ მური, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. რობ საიმონსი, 19. რადეკე სამო, 20. მაიკლ ჰუპერი, 21. ნიკ ფიპსი, 22. დრიუ მიტჩელი.

**ახალი ზელანდია:** 15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. მაა ნონუ, 12. სონი ბილ ვილიამსი. 11. ჰოსე გეარი. 10. დენ კარტერი, 9. აარონ სმითი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სამუელ ვაითლოქი, 6. ლიამ მესამი. 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.

16. ენდრიუ ჰორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ბროდი რეტალიკი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. ბენ სმითი.

**მსაჯი:** ალან როლანი (ირლანდია).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

# რაფაელ ნადალს დევისზე ვნახავთ



რაფაელ ნადალი

მსოფლიოს მესამე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** დევისის თასის ნახევარფინალში აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს აპირებს. ამის შესახებ სააგენტო AFP-თან ინტერვიუში ჩოგბურთელის ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის გამო რაფაელმა გამოტოვა უიმბლდონი და ვერ ითამაშებს აშშ-ის ღია პირველობაზე, რომელიც 27 აგვისტოს დაიწყება.

*„ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ახლანდელი პაუზა რაფას კარიერის გაგრძელების საშუალებას მისცემს და, შესაძლოა, მომავალში მას აღარ შეექმნას პრობლემები მუხლებთან დაკავშირებით. დევისის თასის მატჩამდე ერთი თვეა დარჩენილი, ასე რომ, ვიმედოვნებთ - ის ამერიკასთან შესახვედრად სრულიად ჯანმრთელი იქნება.*

*უიმბლდონის შემდეგ შესვენების აღება გადავწყვიტეთ, მაგრამ რამდენიმე დღეში ძალიან გაგვიჭირდა ვარჯიშების წარმართვა. ყოველი მეცადინეობის შემდეგ რაფა დისკომფორტს განიცდიდა. ისე გამოვიდა, რომ მან ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ შეძლო, რათა ისეთი სერიოზული დონის ტურნირზე ეთამაშა, როგორიც აშშ-ის ღია პირველობაა*“, - განაცხადა ტონი ნადალმა.

ესპანეთისა და ამერიკის ნაკრებთა ნახევარფინალი 14-16 სექტემბერს ქალაქ ხიხონში გაიმართება.

ავტოსპორტი

# რეკორდი ნიუ იორკიდან ნიუ ჯერსიმდე

ამ დღეებში ფორმულა 1-ის საუკეთესო გუნდი - რედ ბული და მისი ყოფილი პილოტი, სახელგანთქმული ბრიტანელი **დევიდ კულტჰარდი** ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად იმყოფებიან.

რამდენიმედღიანი პროგრამა ორშაბათს დაიწყო, როცა ნიუ იორკში საჩემპიონო ბოლიდის - RB7-ის ფოტოსესია გაიმართა თავისუფლების ქანდაკებისა და მანჰეტენის ცათამბჯენების ფონზე. სხვათა შორის, იქ შეკრებილ მაყურებელს სიურპრიზი ელოდა - „რენოს“ ძრავამ ამერიკის ჰიმნი შეასრულა.

ამის შემდეგ „რედ ბული“ ნიუ ჯერსიში გადავიდა, სადაც მომავალ წელს ფორმულა 1-ის ეტაპი გაიმართება. გადაადგილებისთვის საკმაოდ უცნაური ხერხი აირჩიეს: დევიდ კულტჰარდმა ფორმულა 1-ის ბოლიდით ლინკოლნის გვირაბის გავლით მიაღწია ნიუ ჯერსიმდე, თანაც საათში 350 კილომეტრი სიჩქარე განავითარა.

„რედ ბულის“ წარმომადგენლებს არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, რომ დევიდმა სიჩქარის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა ნიუ იორკიდან ნიუ ჯერსიში მგზავრობის დროს და შესაბამისად, ამ შედეგის გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებას ელიან.

„რედ ბულის“ ეს აქცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ფორმულა 1-ის პოპულარიზაციას ემსახურებოდა. ცნობილია, რომ მომავალ წლიდან ამერიკაში ორი გრანპრი გაიმართება - ერთს ტეხასის შტატის ქალაქი ოსტინი უმასპინძლებს, მეორეს კი ნიუ ჯერსი, სადაც ქუჩის რბოლა ჩატარდება.



კულტჰარდი ლინკოლნის გვირაბში

კალათბურთი

# რუბიო დეკემბერში დაბრუნდება

„მინესოტა ტიმბერვულვზის“ მცველი **რიკი რუბიო**, რომელმაც გასულ რეგულარულ ჩემპიონატში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, სწრაფი ტემპებით მიდის გამოჯანმრთელებისკენ. აღდგენის ვადები იმაზე გაცილებით მოკლე იქნება, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ, - იტყობინება სააგენტო AP.

ექიმები იანვარში ელოდნენ რიკის დაბრუნებას, მაგრამ ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ ვადამ, შესაძლოა, ერთი თვით უკან გადმოიწიოს. გუნდის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ექიმებს არ სურთ მოვლენათა ფორსირება, მაგრამ არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ რუბიო დეკემბერში გავა მოედანზე.

2011-12 წლების სეზონში ესპანელი კალათბურთელი საშუალოდ 15 ქულასა და 10 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

# რეალი ჩინელს იმატებს

„დალას მავერიქსის“ ჩინელი ფორვარდი **იი იანლიანი**, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში მადრიდის „რეალში“ გადავიდეს სათამაშოდ.

როგორც ესპანური პრესა წერს, კალათბურთელს, რომელიც შარშანდელ სეზონს D-ლიგაში ასრულებდა და იქ საშუალოდ 23 ქულას აგროვებდა, ჯერ არ მიუცია საბოლოო პასუხი სამეფო კლუბისთვის.

ტურნირების მიმოხილვა



ენდი მიურეი

# ენდიმ ტიტული ვერ დაიცვა

ცინცინატის მასტერსზე გუშინ მერვედფინალების დრო იყო და ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაცია მოხდა. ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** ვერ შეძლო შარშანდელი ტიტულის დაცვა. მან ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით წააგო ფრანგ **ჟერემი შარდისთან** - 4:6, 4:6. თამაში საათსა და 37 წუთს გაგრძელდა და ენდიმ ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, მაგრამ შარდიმ ამას ოთხი ბრეიკით უპასუხა.

უცნაურად წარიმართა მეორე სეტის სტარტი, სადაც ზედიზედ ხუთი ბრეიკი დაფიქსირდა. ჟერემიმ პირველმა შეინარჩუნა თავისი მოწოდება. მიურეი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ საჭირო მომენტში შარდის მოწოდება იდეალური იყო - ჯამში ოთხი ეისიდან სამი მან 5:4-ზე ჩააწოდა. სხვათა შორის, ეს იყო ამ ჩოგბურთელთა მეხუთე შეხვედრა და ფრანგმა პირველად დაამარცხა ბრიტანელი.

პირველმა მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება ამერიკელმა **მერდი ფიშმა**, რომელმაც ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოუგო **რადეკ შტეპანეკს**. მასპინძელმა სამი ბრეიკი გააკეთა, თავაც კი არც ერთი საკუთარი გეიმი არ დათმო. საინტერესოა, რომ ფიშმა მეხუთე ცდაზე კარიერაში პირველად დაამარცხა ჩეხი ჩოგბურთელი.

საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და სერბი **ვიქტორ ტროიცკის** მატჩში - ორივე ჩოგბურთელს ცხრა ბრეიკ-პოინტი და ხუთი ბრეიკი ჰქონდა. გამარჯვება კი არგენტინელს დარჩა, რომელმაც პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, მეორეში 2:6 დამარცხდა, მაგრამ მესამეში გაანადგურა სერბი მეტოქე - 6:1.

ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა** ესპანელ **პაბლო ანდუხართან** შეხვედრაში. მას მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, როცა ტაი-ბრეიკზე გატეხა ანდუხარის წინააღმდეგობა, სამაგიეროდ მეორე სეტში უპრობლემოდ მოიგო - 6:2 და მეოთხედფინალში **ნოვაკ ჯოკოვიჩზე** გავიდა.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** უპრობლემოდ დაამარცხა ავსტრალიელი **ბერნარდ ტომიჩი** - 6:2, 6:4. როჯერმა მთელი მატჩის განმავლობაში სამი ბრეიკი გააკეთა, მისმა 19 წლის მეტოქემ კი შეხვედრა ისე დაასრულა, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ფედერერს ახლა სამიდან სამი მოგება აქვს ავსტრალიელი ჩოგბურთელის წინააღმდეგ.

ცინცინატში წარმატებულ გამოსვლას აგრძელებს მეორე შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა**. წინა წრეში **დავიდ ფერერზე** მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ, ვავრინკამ ამჯერად უშანსოდ მოუგო იაპონელ **კეი ნიშიკორის**. აზიელმა პირველ სეტში ერთი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ შემდეგ ველარ შეძლო მეტოქის შეჩერება და ორი პარტია ერთნაირი ანგარიშით - 3:6 წააგო.

კარგად იყენებს თავის საფირმო იარაღს - მოწოდებას კანადელი **მილოშ რაონიჩი**. მან გუშინდელი დღის მეორე მოულოდნელობა შემოგვთავაზა - 20 ეისის დახმარებით, საათსა და 52 წუთში სამ სეტში დაამარცხა მეხუთე ნომრად განთესილი ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** - 6:4, 2:6, 6:3. კანადელმა სამი ბრეიკი გააკეთა, რასაც ბერდიხმა მხოლოდ ორით უპასუხა. ეს ამ ჩოგბურთელთა პირველი შეხვედრა იყო.

ყველაზე იოლად მეოთხედფინალში სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა გააღწია, რომელსაც რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** ხვდებოდა.

პირველი პარტია დავიდენკოს სამარცხვინო წაგებით აღინიშნა - 0:6. როგორც ჩანს, რუსმა გადაწყვიტა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც ტრავმა მოიმიზეზა და მეორე სეტში კორტზე აღარ გასულა.

**Western & Southern Open**

**ცინცინატი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი:**
2 825 280 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 7:6(2), 2:6, 6:1; **მერდი ფიში (აშშ, 10)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:3, 6:3; **ჟერემი შარდი (საფ)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 12)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:6(4), 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:2, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 14) 6:3, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) 6:4, 2:6, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:0 უარი.

**1/4 ფინალი**

ფედერერი (1)-ფიში (10); ვავრინკა-რაონიჩი; დელ პოტრო (6)-შარდი; ჩილიჩი (12)-ჯოკოვიჩი (2).

# ურსულა დას ვერ დაეხმარა

ქალი ჩოგბურთელები ცინცინატიში ასევე მეოთხედფინალში არკვევდნენ ურთიერთობას.

თანდათან შედის ფორმაში ამერიკელი ვეტერანი **ვენუს უილიამსი**, რომელმაც გუშინ ძალიან იოლად მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური. იტალიელ **სარა ერანისთან** მატჩში ვენუსს განსაკუთრებით კარგად მოწოდება გამოსდიოდა და აპენინელმა მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ 12 ქულა აიღო მეტოქის გეიმებში. უფროსმა უილიამსმა კი ოთხიდან ოთხივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და საათსა და ერთ წუთში 6:3, 6:0 მოიგო. აღსანიშნავია, რომ ეს ჩოგბურთელები ცოტა ხნის წინ ლონდონის ოლიმპიადაზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც ამერიკელმა გაიმარჯვა.

მორიგი ნაბიჯი გადადგა მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტულისკენ პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ**. მოგეხსენებათ, ეს ჩოგბურთელი ცინცინატის ტურნირის მოგების შემთხვევაში მსოფლიოს რეიტინგის ახალი ლიდერი გახდება.

თუმცა რადვანსკას გაუჭირდა მერვედფინალში ამერიკელი **სლოუნ სტივენსის** დამარცხება. პოლონელმა, ისევე როგორც წინა მატჩში, ამჯერადაც ცუდად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე და მეტოქეს ხუთი ბრეიკი დაუთმო. აგნიეშკა იმან გადაარჩინა, რომ ბრეიკ-პოინტების რეალიზების მაღალი პროცენტი ჰქონდა - 10-დან შვიდი შანსი გამოიყენა. მატჩი საათი და 57 წუთი გაგრძელდა და ასეთი ანგარიში დაფიქსირდა - 6:1, 4:6, 6:4 პოლონელის სასარგებლოდ.

კარგი სამსახურის გაწევა შეეძლო თავისი უფროსი დისთვის **ურსულა რადვანსკას**. ის მთავარ ფავორიტს **სერენა უილიამსს** ეთამაშებოდა და მოგების შემთხვევაში აგნიეშკას გზიდან ჩამოაშორებდა ძირითად კონკურენტს, მაგრამ მსოფლიოს 46-ე ჩოგანს არ გამოუვიდა ჩანაფიქრი.

თუმცა, 21 წლის ურსულამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია დიდი სლემის ტურნირების 14-გზის ჩემპიონს. უილიამსმა პირველი სეტი გაჭირვებით - 6:4 მოიგო, მეორეში კი 0:3-დან მოუწია პარტიის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება. თამაში საათსა და 10 წუთს გაგრძელდა. სერენამ მეტოქის ოთხ ბრეიკს ექვსი ბრეიკით უპასუხა.

წინა მატჩისგან განსხვავებით, სერენამ ნაკლები შეცდომა დაუშვა - 30-44-ის წინააღმდეგ, მაგრამ აუცილებლად უნდა მოუმატოს თამაშს, რადგან წინ **ანჟელიკ კერბერთან** მეოთხედფინალი ელის.

ფავორიტთაგან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს **პეტრა კვიტოვამ** და **სამანტა სტოსურმა**. ჩეხმა დამაჯერებლად მოუგო **შუაი პენგს** - 6:2, 6:2, სამანტამ კი შანსი არ დაუტოვა **ეკატერინა მაკაროვას** - 6:1, 6:3.

ავსტრალიელი ბრწყინვალედ აწვდიდა და თავის პირველ მოწოდებაზე მხოლოდ სამი ქულა წააგო. მიუხედავად ამისა, მაკაროვას ჰქონდა ორი ბრეიკ-პოინტი, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. რეალიზაციის მხრივ სტოსურსაც ჰქონდა პრობლემები, თუმცა 15 ბრეიკ-პოინტიდან ოთხი ბრეიკის გახერხება მაინც შეძლო.

**Western & Southern Open**

**ცინცინატი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი:**
2 168 400 დოლარი

**1/8 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 1)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 6:1, 4:6, 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:4, 7:6(4); **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:2, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 3)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:1, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-სარა ერანი (იტა, 7) 6:3, 6:0.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სერენას კერბერი ელოდება

ველოსპორტი

# კონტადორი, როდრიგესი თუ ფრუმი?

## დღეს ესპანური ველომარათონი იწყება

იმდროს, როცა სხვა ოლიმპიური სახეობის წარმომადგენლები დამსახურებული დასვენებით ტკბებიან, ველომრბოლები სეზონის ბოლო „გრანდტურს“ - ესპანურ „ვუელტას“ იწყებენ. რა თქმა უნდა, ამ ველომარათონის შემადგენლობა ჩამოუვარდება ტურ დე ფრანსის პელოტონს და თან, სეზონის ბოლოსთვის მრბოლელები გადაღლილები არიან, ამიტომაც, წესით, ინტერესი ნაკლები უნდა იყოს. მაგრამ წლევანდელი „ვუელტა“ განსაკუთრებულია და მას ყურადღება არ მოაკლდება. საქმე ისაა, რომ პირველობისთვის იბრძოლებს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიადესი ველომრბოლი - **ალბერტო კონტადორი.**

რა თქმა უნდა, გახმაურებული დოპინგ-სკანდალის შემდეგ, ესპანელის დიდება ნაწილობრივ გაფერმკრთალდა, მაგრამ სწორედ მას იხსენებდნენ სპეციალისტები წლევანდელი ტურ დე ფრანსის დროს, როცა სხვა გუნდები და ველომრბოლები ვერაფერს უპირისპირებდნენ **ბრედლი უიგინსსა** და მის გუნდს - „სქაის“.

„ვუელტამდე“ მოთელვისთვის კონტადორმა არაპროფილური Eneco Tour აირჩია. ესპანელის გამოსვლის სერიოზულად შეფასება არავის უცდია. ალბერტო მეშვიდე იყო დროზე განცალკევებით რბოლაში და მეოთხე - გენერალურ კლასიფიკაციაში. სხვა დროს ის მეტის მიღწევას შეძლებდა, მაგრამ სატურნირო პრაქტიკის არქონის გამო, ის მხოლოდ ახლა უახლოვდება თავის ოპტიმალურ ფორმას. სამაგიეროდ, ბუკმეიკერები მზად არიან წინასწარ მიანიჭონ გამარჯვება „საქსო ბანკის“ ლიდერს. მით უმეტეს, რომ რბოლის მარშრუტი კონტადორისთვის არის შექმნილი და კონკურენტებიც არც ისე ბევრი ჰყავს.

კონტადორის ერთ-ერთი ძირითადი მონინაალმდეგე იქნება რუსული „კატიუშას“ ლიდერი, წლევანდელი ჯირო დ'იტალიას მეორე პრიზიორი **ხოაკიმ როდრიგესი.** ესპანელის მთავარი დამხმარეები იქნებიან მთის სპეციალისტები - **დანი მორენო** და **დენის მენშოვი.** ამ უკანასკნელს „ვუელტა“ ორჯერ აქვს მოგებული, შარშან კი **ხუან ხოსე კობოს** გაამარჯვებინა. ამიტომაც, მენშოვის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

დანარჩენი პრეტენდენტებიდან უნდა აღვნიშნოთ **კრის ფრუმი.** ბრიტანელმა დაამტკიცა, რომ შეუძლია დიდ რბოლებში გამარჯვებისთვის ბრძოლა და შარშანდელი მეორე ადგილი - შემთხვევითობა არ ყოფილა. თუმცა მან ტურ დე ფრანსზე თავისთვის და ბრედლი უიგინსისთვის ძალიან ბევრი იმუშავა და წესით, ესპანურ ველომარათონს დაღლილი უნდა შეხვდეს. ხუან ხოსე კობო ამ სეზონში შეუმჩნეველია, ამიტომაც მისგან ტიტულის დაცვა ეჭვს იწვევს.



ალბერტო კონტადორი

ფარული ფავორიტებიდან უნდა აღვნიშნოთ **იურგენ ვან დენ ბრუკი** და ჰოლანდიური ტანდემი „რაბობანკიდან“ - **რობერტ ჰესინკი** და **ბაუკე მოლემა.** და კიდევ, თუ ფრუმმა არ გაამართლა, „სქაიში“ ის შეიძლება დააზღვიონ **რიგობერტო ურანმა** და **სერხიო ენაომ.** არ უნდა დავივიწყოთ ტრადიციულად ძლიერი ბასკი **იგორ ანტონი** და ჯიროს პრიზიორი **ტომას დე გენტი.**

სპრინტერების რიგებში მთავარი მოულოდნელობა მარკ კევენდიშის არყოფნაა. მას **ბენ სვიფტი** შეცვლის. მის გარდა, „სწორ“ ეტაპებზე ბრძოლას წარმართავენ **ელია ვივიანი, ხოსე ხოაკინ როხასი, ალენ დევისი, იონ დეგენკოლბი** და **დანიელე ბენატი** - სპრინტერების რეიტინგის საშუალო წარმომადგენლები. სამთო კლასიფიკაციაში საყოველთაო ყურადღება იქნება მიპყრობილი **დავიდ მონკუტიესკენ,** რომელიც შეეცდება ზედიზედ მეხუთედ მოიგოს „მთის მეფის“ მაისურა.

რაც შეეხება წლევანდელი „ვუელტას“ მარშრუტს, ის საკმაოდ რელიეფურია და ხუთ სამთო ეტაპს მოიცავს. ყველაზე რთული იქნება მეორე კვირის დასასრული, აგრეთვე ბოლა დელ მუნდოს მთაზე ასვლა. ველომარათონი კი პამპლონაში 16-კილომეტრიანი დროზე განცალკევებითი რბოლით გაიხსნება, მთავარი, 40-კილომეტრიანი დროზე რბოლა კი მე-11 ეტაპზე გაიმართება.

კრივი

# რინგმა უდიადესთა რეიტინგი შეადგინა

ავტორიტეტულმა საკრივო გამოცემამ - ამერიკულმა ჟურნალმა The Ring-მა გამოაქვეყნა იმ მოკრივეთა რეიტინგი, რომლებმაც უდიდეს სიმაღლეებს მიაღწიეს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიულ კრივში.

რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. მუჰამედ ალი
2. როი ჯონსი
3. რეი ლეონარდი
4. პერნელ უაიტეკერი
5. ვლადიმერ კლიჩკო
6. ფლოიდ მეივეზერი
7. ლენოქს ლუისი
8. ჯორჯ ფორმენი
9. ჯო ფრეზერი
10. ევანდერ ჰოლიფილდი

აღსანიშნავია, რომ პირველი ათეულის ყველა მოკრივეს უდიდესი წარმატებები აქვს პროფესიულ რინგზე, მაგრამ მათგან მხოლოდ შვიდი იყო ოლიმპიური ჩემპიონი. სამს უფრო დაბალი სინჯის მედლებით მოუწია დაკმაყოფილება, თუმცა იმის გამო, რომ ისინი მსაჯებმა „გაქურდეს“.

**ფლოიდ მეივეზერის** მარცხი ბულგარელ **ტოდოროვთან** მსაჯების მხრიდან ისეთი თავხედური არ ჩანს, როგორც ის გაუგონარი უსამართლობა, რომელსაც **როი ჯონსისა** და კორეელ **სი-ჰუნ პარკის** ბრძოლაში ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება **ევანდერ ჰოლიფილდის** დისკვალიფიკაციას მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ნოკაუტში გაგზავნა ახალზელანდიელი **კევინ ბარი,** ამას ნამდვილი სისხლის სამართლის დანაშაული ჰქვია. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჰოლიფილდიც, ჯონსიცა და მეივეზერიც ამ უსამართლობამ არ გატეხა და მათ პროფესიულ რინგზე დაამტკიცეს - ვინ ვინ არის სინამდვილეში.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი - რეიტინგის ავტორებმა პირველ ათეულში არ შეიყვანეს **ოსკარ დე ლა ჰოია,** რომელიც ჟურნალის მფლობელი გახლავთ. ეს კარგის ნიშანია, რადგან ირკვევა, რომ „ოქროს ბიჭი“ არ ერევა გამოცემის სარედაქციო პოლიტიკაში.

და კიდევ, ყურადღებას იპყრობს რეიტინგში **მაიკ ტაისონის** არყოფნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მუჰამედ ალი კიდევ ერთხელ დააფასეს

TV პროგრამა

**18 აგვისტო. შაბათი**

**I არხი**

18:55 კალათბურთი. ევრობასკეტი 2013. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-რუმინეთი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტური. კორინთიანსი-ინტერნასიონალი.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბაიერნი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. არსენალი-სანდერლენდი (LIVE).
20:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ნიუკასლი-ტოტენჰემი (LIVE).
22:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ფეიენოორდი-ჰერენვეენი (LIVE).
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ფლუმინენსე-რესიფე (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ტოტენჰემი.
11:35 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ნიუ იორკი.
13:55 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ახალი ზელანდია (LIVE).
16:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
17:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. დორტმუნდი.
18:50 რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-არგენტინა (LIVE).
21:00 ჩოგბურთის ლეგენდები. როჯერ ფედერერი.
23:10 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. ბოკა ხუნიორსი-ოლ ბოისი (LIVE).
01:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ნიუ იორკი.

**19 აგვისტო. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. ბოკა ხუნიორსი-ოლ ბოისი.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
12:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ეინდჰოვენი-როდა.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის წინ.
16:30 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. უიგანი-ჩელსი (LIVE).
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი (LIVE).
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. დორტმუნდი.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. სანტოსი-კორინთიანსი (LIVE).
01:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ფლამენგო-ვასკო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ფლუმინენსე-სპორტ რესიფე.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ნიუ იორკი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-არგენტინა
18:00 NBA Action.
18:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ნიიმეგენი-აიაქსი (LIVE).
20:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ახალი ზელანდია
22:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ნიუ იორკი.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 33 | (მზე) |
| ქუთაისი | 18 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 20 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 29 | (მზე) |
| გორი | 15 | 32 | (მზე) |
| თელავი | 18 | 33 | (მზე) |
| სიღნაღი | 21 | 32 | (მზე) |
| ქობულეთი | 19 | 27 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 13 | 30 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 26 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0162 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6416 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5757 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1536 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ჰადერსფილდი | 1:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰაიდი-ლუტონი | 1:2 |

**ესპანეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა B-ალმერია | 4:5 |
| მირანდესი-უესკა | 0:1 |
| ვილიარეალი-რეალი B | 2:1 |

**გერმანია — რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ვერდერი II-რედენი | 2:0 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ფილბერტი-ფერლი | 0:3 |
| ლოტე-ფორტუნა II | 1:0 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ეშბორნი-ფრაიბურგი II | 1:1 |
| აინტრახტი II-ჰოფენჰაიმი II | 0:5 |
| ობერშტაინი-კაიზერი II | 1:2 |

**რეგიონალლიგა (ბ)**

| | |
|---|---|
| ელტერსდორფი-ვიქტორია | 2:3 |
| მემინგენი-ფიურტი II | 0:2 |

**გერმანიის თასი — I რაუნდი**

| | |
|---|---|
| ზონენჰოფი-ფრანქფურტი | 1:2 |
| ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 0:3 |
| ვილჰელმშაფენი-აუგსბურგი | 0:2 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლილი-ნანსი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არლი-ანჟერსი | 2:0 |
| კაენი-კლერმონი | 4:0 |
| ისტრი-შატორუ | 0:0 |
| ლავალი-ნიორი | 1:0 |
| ჰავრი-გფკო აიაჩო | 2:1 |
| ლანსი-დიჟონი | 1:1 |
| სედანი-ნიმი | 2:3 |
| ტური-ნანტი | 0:2 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| კევილი-ბულონი | 2:2 |
| ბურჟი-კოლმარი | 1:0 |
| ამიენი-რუანი | 1:0 |
| კრეტეი-შერბური | 2:0 |
| ლუზენაკი-ვანი | 1:4 |
| მეცი-ლე პუარი | 2:0 |

**ჰოლანდია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ტელსტარი | 1:2 |
| კამბური-ფორტუნა | 2:0 |
| ექსელსიორი-ემენი | 2:0 |
| დენ ბოში-სპარტა | 1:2 |
| დორდრეჰტი-ვოლენდამი | 1:2 |
| იგლზი-გრააფსხაპი | 2:2 |
| ჰელმონდი-ალმერი | 2:1 |
| მაასტრიხტი-ტოპ ოსი | 2:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ოლანენსე-ეშტორილი | 2:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 3:0 |

**ავსტრია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-ლუშტენაუ | 3:0 |
| კაპფენბერგი-ვენა | 3:3 |
| გრიოდიგი-ჰარტბერგი | 0:0 |
| ჰორნი-ბრაუ ვაისი | 1:1 |
| აუსტრია (ლ)-სტ. პოლტენი | 3:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ესქისეჰირი-ახისარი | 0:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| დერი-ბოჰემიანსი | 2:0 |
| სტ. პატსი-ბრეი | 0:1 |
| უნივერსიტი-კორკი | 3:1 |
| დროგედა-შემროკი | 0:2 |
| შელბურნი-სლიგო | 1:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გალვეი-ეთლონი | 3:0 |
| უოტერფორდი-უექსფორდი | 1:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბალა-ნიუთაუნი | 4:4 |
| ბანგორი-ქონაჰსი | 2:1 |
| ტნს-აირბასი | 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| დუკლა-სლოვაცკო | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტაბორსკო-უსტი | 3:1 |

**რუსეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-პეტროტრესტი | 2:1 |
| სიბირი-უფა | 0:1 |
| ტორპედო-ენისეი | 0:0 |
| როტორი-ნეფტეხიმიკი | 2:1 |
| ხიმკი-ბალტიკა | 1:2 |
| სალუტი-შინიკი | 0:0 |
| ნალჩიკი-მეტალურგი | 1:0 |
| ვოლგარი-ურალი | 1:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ილიჩივეცი | 2:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პოგონი-ზაგლები | 4:0 |
| პიასტი-გურნიკი | 1:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ბელუპო | 1:2 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| რადნიჩკი-ნოვი პაზარი | 1:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| კეჩკემეტი-კაპოშვარი | 1:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| კონკორდია-დინამო | 0:0 |
| ტურნუ-უნივერსიტატეა | 1:1 |
| კლუჟი-ლაში | 2:2 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბატე-გომელი | 0:0 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ბანგა-სუდუვა | 0:0 |

**კალათბურთი — ევრობასკეტი 2013 — შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ალბანეთი | 112:77 |

**ჩოგბურთი — ATP. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-შარდი | 6:1, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ჩილიჩი | 6:3, 6:2 |
| ვავრინკა-რაონიჩი | 2:6, 7:6, 6:4 |

**WTA. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-პავლიუჩენკოვა | 4:6, 4:6 |
| ნა ლი-ლარსონი | 6:2, 6:2 |
| ვ. უილიამსი-სტოსური | 6:2, 6:7, 6:4 |
| კერბერი-ს. უილიამსი | 6:4, 6:4 |




# ჩოგბურთი, სიყვარული და ტიტანიკი


კარლ ბერი

ამა წლის აპრილში მსოფლიოს კინოეკრანებზე ისევ გამოვიდა ლეგენდარული ფილმი „ტიტანიკი“ და მილიონობით მაყურებელმა უკვე 3D ფორმატში იხილა **ჯეკ დოუსონისა** და **როზ ბიუკეიტერის** სასიყვარულო ისტორია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფის ფონზე.

მაყურებელს ეჭვიც არ ჰქონდა იმაზე, რომ რეალურ ცხოვრებაში „ტიტანიკზე“ იყო ისტორია, რომელიც თავისი დრამატიზმით არ ჩამოუვარდებოდა კინოში ნანახს. და ჩოგბურთმა ამ ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

**კარლ ჰაუელ ბერი** გერმანელი ემიგრანტის, წარმატებული ნიუიორკელი ადვოკატის ვაჟი იყო. ისევე, როგორც იმ დროის ყველა პატივსაცემი ჯენტლმენი, უფროსმა ბერმაც თავისი შვილები ბავშვობიდანვე მიაჩვია სპორტს. ერთ-ერთი ვაჟი - **მაქსი** ცნობილი გოლფისტი გახდა, კარლს კი ჩოგბურთის ნიჭი აღმოაჩნდა.

XX საუკუნის დასაწყისში, კარლ ბერი იელის უნივერსიტეტში სწავლობდა და პარალელურად, ქვეყანაში სტუდენტური ჩოგბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავად მიიჩნეოდა. არც ისე მაღალი, მაგრამ ძლიერი და სწრაფი კარლი მალე შევიდა ეროვნული ჩოგბურთის ელიტაში.

კარლის კარიერაში საუკეთესო იყო 1907 წელი, როცა ის აშშ-ის ნაკრებთან ერთად დევისის თასისთვის იბრძოდა, მაგრამ ფინალში ავსტრალაზიის ნაკრებთან წააგო.

ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე, ბერმა თავის პარტნიორთან - **ბილზ რაიტთან** ერთად უიმბლდონის წყვილთა ფინალამდე მიაღწია და იქ ამერიკულმა დუეტმა იმ დროს დაუმარცხებელ ავსტრალიელებთან - **ნორმან ბრუქსთან** და **ტონი უაილდინგთან** წააგო.

თუმცა ბერი არ ჩქარობდა ჩოგბურთისთვის დიდი დროის დათმობას. მას შესანიშნავი კარიერა ჰქონდა საბანკო სფეროში და 1912 წელს არა მარტო ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი, არამედ წარმატებული ბანკირიც იყო. და სწორედ ამ დროს, კარლ ბერს სიყვარული ეწვია.

■ ■ ■

ჩოგბურთელის უმცროს დას ჰყავდა მეგობარი - **ჰელენ ნიუსომი**, ასევე შეძლებული ნიუიორკული ოჯახის წარმომადგენელი. ჰელენი 19 წლის იყო, კარლი - 27-ის. მათი რომანი ამერიკულ მიწაზე დაიწყო, მაგრამ გოგონას დედამ, რომელმაც არ იცოდა ვინ გახდა თავისი ქალიშვილის რჩეული, ჰელენის სასწრაფოდ ევროპაში წაყვანა გადაწყვიტა.

ბერი შეყვარებულს გაჰყვა. მან ევროპულ ქვეყნებში საქმიანი მოგზაურობის ორგანიზება შეძლო და თითქოს შემთხვევით შეხვდა თავის შეყვარებულს. ჩოგბურთელმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მისტერ და მისის **ბეკვიტებზე** (ჰელენის მამინაცვალი და დედა), მაგრამ მაინც ეჭვი ჰქონდათ ასაკში სხვაობის გამო.


ჰელენ ნიუსომი

საქმეებმა კარლი აიძულა დროებით დაეტოვებინა ჰელენის ოჯახი, მაგრამ როცა ტელეგრამა მიიღო იმის შესახებ, რომ ისინი ამერიკაში ბრუნდებოდნენ, ბერმა ისე მიატოვა ყველა საქმიანი შეხვედრა და ჰელენს გაეკიდა. ჩოგბურთელმა ბრილიანტის ბეჭედი შეიძინა და მოასწრო ბილეთის აღება ოკეანის ლაინერზე, რომელსაც „ტიტანიკი“ ერქვა...

საინტერესოა, რომ ხომალდზე სხვა ცნობილი ადამიანების გარდა, კიდევ ერთი სახელგანთქმული ჩოგბურთელი აღმოჩნდა - **დიკ უილიამსი**, რომელიც მამასთან ერთად ევროპული ტურნირიდან ბრუნდებოდა სამშობლოში. უილიამსსა და ბერს ადრეც უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ, მაგრამ მხოლოდ ხომალდზე გაიცნეს ერთმანეთი.

„ტიტანიკს“ რაც მოუვიდა, ყველამ იცის. აისბერგთან შეჯახების შემდეგ, ბერი თავისი შეყვარებულის გადასარჩენად გაიქცა. მან და რიჩარდ ბეკვიტმა ორივე ქალბატონი იპოვნეს და ნავებისკენ წაიყვანეს. უნდა ითქვას, რომ ბეკვიტსა და ბერს, როგორც ორ ნამდვილ ჯენტლმენს, არ უფიქრიათ ნავში ჩაჯდომა - იმ მომენტში მათი ერთადერთი საზრუნავი ქალების გადარჩენა იყო.

მიუხედავად ამისა, იმ აურზაურში, რომელიც გემბანზე სუფევდა, „ტიტანიკის“ მფლობელი კომპანიის „უაიტ სტარ ლაინის“ დირექტორმა **ბრიუს ისმეიმ** მოითხოვა, რომ ბეკვიტი, ბერი და სხვა მამაკაცები მაშველ ნავებში ჩამსხდარიყვნენ და მეზღვაურებს ნიჩბების მოსმაში დახმარებოდნენ. ასე აღმოჩნდა კარლ ბერი ოკეანის შუაში თავისი შეყვარებულის გვერდით.

კარლი და ჰელენი გემმა „კარპატიამ“ აიყვანა. იქვე აღმოჩნდა ფეხებმოყინული უილიამსი, რომელმაც კატასტროფაში მამა დაკარგა.

ნიუ იორკში დაბრუნების შემდეგ, ბერი და უილიამსი ჟურნალისტების საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ეს ბუნებრივია - წარმოიდგინეთ, „ტიტანიკი“ ჩვენს დროში რომ ჩაძირულიყო და მის გემბანზე **ენდი როდიკი** და **მერდი ფიში** ყოფილიყვნენ. მაგრამ კარლ ბერი გაურბოდა საყოველთაო ინტერესს. მას მიაჩნდა, რომ მისი გადარჩენა არასამართლიანი იყო, რადგან უბრალოდ გაუმართლა ნავში რომ მოხვდა.

„ტიტანიკის“ კატასტროფასთან დაკავშირებით პუბლიკის წინაშე მისი ერთადერთი გამოჩენა - სასამართლო სხდომა იყო, სადაც ჩოგბურთელი მოწმის სტატუსით გამოვიდა კომპანია „უაიტ სტარ ლეინის“ წინააღმდეგ. ძირითადად, სწორედ მისი ჩვენების შემდეგ მოუწია კორპორაციას „ტიტანიკის“ ღარიბი მგზავრების ოჯახებისთვის საკომპენსაციო თანხების გადახდა.

ტრაგედიის შემდეგ კარლი აგრძელებდა საჩოგბურთო კარიერას. 1914 წელს მან ისევ ითამაშა დევისის თასის ფინალში, სხვათა შორის, დიკ უილიამსთან ერთად. მომდევნო წელს მან იმ დროის საუკეთესო ჩოგბურთელი დაამარცხა - **მორის მაკლაფლინი**. ეს ერთ-ერთი ტურნირის ფინალში მოხდა.

1913 წელს კარლმა და ჰელენმა იქორწინეს და მრავალი წელი ერთად იცხოვრეს. მათ ოთხი შვილი შეეძინათ, საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კი ბერი აშშ-ის საბანკო სფეროში ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო.

კარლ ბერი 1949 წლის 15 ოქტომბერს, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. ხუთი წლის შემდეგ, ის ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის **ბად კოლინზის** სიტყვებით, ფილმ „ტიტანიკის“ მთავარი გმირი ქალი ძალიან ჰგავს ჰელენ ნიუსომს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ლეონარდო დი კაპრიომ** ითამაშა ადამიანი, რომელიც კარლ ბერისგან არის „გადმოღებული“. თუმცა რეალურ ცხოვრებაში ისტორია გაცილებით ბედნიერი გამოვიდა.

# ყველაფერი წინასწარ იცოდნენ

ჟურნალისტმა და მწერალმა, ჩოგბურთის ისტორიაზე რამდენიმე წიგნის ავტორმა **რენდი უოკერმა** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა საინტერესო მასალა საკუთარი არქივიდან. გასული საუკუნის 90-იანი წლების შუაში უოკერი პრეს-ატაშედ მუშაობდა აშშ-ის საჩოგბურთო ასოციაციაში.

რენდიმ არქივში იპოვა დები **ვენუს** და **სერენა** უილიამსების ანკეტები, რომელიც მათ ასოციაციის ბანაკში ყოფნის დროს, 1993 წელს შეავსეს. გოგონების პასუხები გვიჩვენებენ, რომ მომავალი ჩემპიონები და მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერები აბსოლუტურად დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ წარმატებაში.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, უილიამსების ყველა ოცნება ასრულდა: სერენამ მოიგო „დიდი სლემის“ 14 ტურნირი, ცოტა ხნის წინ კი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ვენუსს „დიდ სლემზე“ 7 ტრიუმფი აქვს, აქედან ხუთი უიმბლდონზე მოდის. ამას ემატება უმაღლესი სინჯის ოთხი ოლიმპიური მედალი.



## სერენა უილიამსი, 12 წლის

**საყვარელი და საუკეთესო დარტყმა:** კროსი მარჯვნიდან, ბექჰენდი ხაზის გასწვრივ.

**სად და როდის დაიწყე ჩოგბურთის თამაში:** ოთხი წლის ასაკში, კომპტონში (კალიფორნია).

**წარმატებები სასკოლო განათლებაში:** ძლიერი ვიყავი მათემატიკაში, წერაში და სხვა საგნებში.

**სამომავალო გეგმები (კოლეჯი ან პროფესიული კარიერა):** პროფესიული კარიერა.

**მიზნები ჩოგბურთში:** გავხდე პირველი ჩოგანი.

**მთავარი გამარჯვება მოცემულ მომენტში:** ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირები. უკვე სამი წელია იქ აღარ გამოვდივარ.

**ყველაზე დიდი მოგება:** კალიფორნიის შტატის ტურნირში გამარჯვება.

**მისაბაძი მაგალითი:** მე, სერენა.

**ინტერესები ჩოგბურთის მიღმა:** ტანვარჯიში, სირბილი, ცურვა.



## ვენუს უილიამსი, 13 წლის

**საყვარელი და საუკეთესო დარტყმა:** ნებისმიერი ტიპის დარტყმა.

**წარმატებები სასკოლო განათლებაში:** შეფასება 94,5.

**სამომავალო გეგმები (კოლეჯი ან პროფესიული კარიერა):** პროფესიული კარიერა.

**მიზნები ჩოგბურთში:** გავხდე პირველი ჩოგანი, მოვიგო უიმბლდონი.

**მთავარი გამარჯვება მოცემულ მომენტში:** ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირები.

**ყველაზე დიდი მოგება:** 12 წლის ასაკში დავამარცხე იუნიორებს შორის მე-300 ჩოგანი.

**მისაბაძი მაგალითი:** მე.

**ინტერესები ჩოგბურთის მიღმა:** ვიდეოთამაშები, კითხვა, სერფინგი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608